1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

№ 7

ივლისი

ИЮЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების პირველი წლის შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის დადგენილებიდან, სსრკ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან და სახალხო განათლების დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებებიდან, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. განვლილ 1984—1985 სასწავლო წელს ჩატარებულ მუშაობას საფუძვლად დაედო განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების კომპლექსური გეგმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა მიღების შესახებ“ საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკაში სწავლების საყოველთაოდ ექვსი წლიდან დაწყებას. ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავდა და განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი. დამუშავდა და დაიხვეწა ექვსი წლის ასაკის ბავშვთა მიღების წესი, განისაზღვრა ექვსწლიანთა სწავლებისა და აღზრდის, მათი მეცადინეობისა და დასვენების პირობები, მომზადდა და სკოლებს დაეგზავნა ახალი შინაარსის სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები. შრომატევადი სამუშაო ჩატარდა მეთოდური ლიტერატურით, რეკომენდაციებით, მითითებებით ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პედაგოგიური კადრების გადასამზადებლად.

ჩატარებულმა მუშაობამ განაპირობა რეფორმის მოთხოვნათა შესასრულებლად სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მზადყოფნა. 1984—1985 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და 66 სკოლამდელ დაწესებულებაში გახსნილ 81

საქ. სსრ კ. მარქსის

1-ლ კლასში სწავლას შეუდგა 147 330 ბავშვი, მათ შორის 67 ექვსწლიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის სრულყოფას. სამინისტროში შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც კონსულტაციებს უტარებდა სპეციალისტებს. ამავე ჯგუფმა მოამზადა და სკოლებს მიაწოდა მცირეკომპლექტიანი სკოლების გაკვეთილების ცხრილის ნიმუშები.

ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში სამინისტროს მიერ შემუშავებული ნორმების მიხედვით მოეწყო ექვსწლიანთა საკლასო და დასასვენებელი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ოთახები.

ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მუშაობის განვლილი პერიოდის ანალიზმა ცხადყო, რომ ბავშვები კარგად ძლევენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალას.

დადებითი ძვრები აღინიშნება საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისა და ამ მიზნით შესაბამისი პირობების შექმნის საქმეში.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად დიდი ყურადღება დაეთმო გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებას, მათში მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას, სასკოლო ინტერნატებითა და უფასო ტრანსპორტით მოსწავლეთა უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

გასულ წელთან შედარებით გაიზარდა გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა. მიმდინარე სასწავლო წელს 4600 ჯგუფში ირიცხებოდა 132,5 ათასი მოსწავლე, ანუ I—VIII კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 18%. რესპუბლიკის 141 სასკოლო ინტერნატში ჩაება 3652 მოსწავლე.

გრძელდებოდა მუშაობა სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა რაციონალურად განლაგების მიზნით. გასულ წელთან შედარებით საშუალო სკოლების რაოდენობა 17 ერთეულით გაიზარდა. გაუქმდა 8 საღამოს სკოლა, მათ ბაზაზე შეიქმნა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები.

გაუმჯობესდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა. მიმდინარე წელს რესპუბლიკის 4 ინტერნატულ დაწესებულებასთან გაიხსნა სკოლამდელთა განყოფილებები, სადაც დღეისათვის 200-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია ჩაბმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული მუშაობა ჩატარდა სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცებისათვის. 1984 წელს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით სასკოლო მშენებლობის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 100%-ით, ექსპლოატაციაში გადაეცა 38 სკოლა, 54 სკოლამდელი დაწესებულება, 3 სასკოლო ინტერნატი, 4 საცხოვრებელი სახლი მასწავლებელთათვის. ხორციელდება სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის გაფართოების ღონისძიებები იმ ანგარიშით, რომ 1990 წლამდე რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქს ჰქონდეს მოსწავლეთა და პიონერთა სახლი.

განათლების სამინისტროს კომპლექსური გეგმისა და სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, ტიპობრივი ნოძენკლატურების გათვალისწინებით, მუშავდება სასკოლო შენობათა პროექტები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პირველი რიგის სკოლების მშენებლობის პერსპექტიული გეგმის შედგენისათვის.

რესპუბლიკის თითოეულ სკოლაზე მიშენებითი სამუშაოების საჭიროების განსაზღვრისათვის ჩატარდა სასკოლო ფონდის აღწერა 1985 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ შეფი ორგანიზაციები სასწავლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ინვენტარით, სათვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღჭურვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისა და, საერთოდ, დაწყებითი კლასების სათანადო დანადგარ-მოწყობილობით აღჭურვას. მარტო 1984 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სკოლებმა მიიღეს 3,2 ათასი მერხი დაწყებითი კლასებისათვის. გარდა ამისა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში შეზიდულ იქნა 45.0 ათასი მანეთის სპეციალური კომპლექტები ბავშვთა დასასვენებელი და სათამაშო ოთახებისათვის, 2.5 ათასი ცალი საწოლი და მისი მოწყობილობა, 120.0 ათასი მანეთის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ავეჯი და ინვენტარი, 480.0 ათასი მანეთის სათამაშოები. სათანადო ზომები იქნა მიღებული მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარებით სკოლების დამატებით მომარაგებისათვის.

1985 წლისათვის, განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, დამატებით გამოყოფილ იქნა 1000 ცალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური მაგიდა დაწყებითი კლასების შრომის კაბინეტებისათვის, რომელთაგან 500 ცალი დღეისათვის უკვე მიღებული და მიწოდებულია ადგილებზე; 1400 ცალ საკერავ მანქანაზე, 200 ცალ საბეჭდ მანქანაზე, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე გაცემულია სკოლებზე, 300.0 ათას მეტრ ქსოვილზე — პროფილაქტიკური სწავლებისათვის და სხვა.

გრძელდება მუშაობა სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით და დიდაქტიკური მასალებით მოსწავლეთა და მასწავლებელთა უზრუნველყოფისათვის მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შემუშავდა ექვსწლიანთა 1-ლი კლასის სასწავლო გეგმები რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლებისათვის, მომზადდა მეთოდიკური რეკომენდაციები ყველა საგანში. კომპლექსური გეგმის შესაბამისად, სკოლების სამმართველოს, სახელმძღვანელოების სამმართველოსა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ თარგმნილია და ახალი სასწავლო წლიდან სკოლები მიიღებენ „საოჯახო აღზრდის ეთიკისა და ფსიქოლოგიის კურსის“ სახელმძღვანელოს.

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაკთა დასახმარებლად მომზადდა მეთოდიკური რეკომენდაციები აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სრულყოფის მიზნით, მომზადდა და გამოიცა ახალი პროგრამები მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში, შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდიების ახალი პროგრამები და დებულებები, მომზადდა სახელმძღვანელო 1-ლი კლასის მოსწავლეთათვის სახვით ხელოვნებაში. მზადდება ხუთტომეული „საბავშვო ბიბლიოთეკის“ დამატებისათვის, პირობითი სახელწოდებით — „საუბრები ხელოვნებაზე“. გადამუშავდა და დაიხვეწა ორიგინალური პროგრამები და მეთოდიკური რეკომენდაციები ცალკეულ საგნებში რესპუბლიკის ინტერნატული დაწესებულებებისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შესაბამისად, განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სწავლების ხარისხის ამაღლების, აღმზრდელობითი მუშაობის, მართვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარეობს გაკვეთილის სხვადასხვა, მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების ძიება. მომზადდა და სკოლებში პრაქტიკული გამოყენება პოვა რეკომენდაციებმა სასკოლო ლექციების, სემინარების, პრაქტიკუმების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაუბრებისა და სწავლების სხვა საინტერესო ფორმების გამოყენების შესახებ.

სწავლების ხარისხის ამაღლების თაობაზე სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა პრაქტიკულად შესრულებისათვის განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა თანამიმდევრული ღონისძიებანი განახორციელეს ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლისა და მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარების მიზნით.

გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებებია გატარებული 1985—1986 სასწავლო წლიდან ახალი საგნის „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" შემოღებასთან დაკავშირებით. განათლების სამინისტროს 1985 წლის 18 ივნისის № 371 ბრძანების შესაბამისად ადგილებზე შეირჩა პედაგოგიური კადრები, რომლებიც ზაფხულის პერიოდში გაივლიან გადასამზადებელ კურსებს, ითარგმნა და მზადაა გამოცემისათვის შესაბამისი სახელმძღვანელო.

აღნიშნული საგნის სწავლებას უთუოდ შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ 1985 წლისათვის დამატებით იქნა გამოყოფილი 1000 ცალი მიკროკალკულატორი სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის და „აქატის" ტიპის ელექტროგამომთვლელი მანქანები მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და მისი ფილიალებისათვის; 1986 წლისათვის წარდგენილია განაცხადი 100 კომპლექტ დვკ-1 და დვკ-2 ტიპის ელექტროგამომთვლელ მანქანებზე, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 7,5 მილიონ მანეთს შეადგენს.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საკითხებს.

რესპუბლიკის ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლას, სკოლა-ინტერნატს გამოეყო და მთავრობის დადგენილებით მიემაგრა საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები), რომელთა გარკვეულმა ნაწილმა უკვე შეადგინა საბაზო საწარმოს დებულებათა შესაბამისად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციისა და მათი მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის საჭირო მატერიალური ბაზების განვითარების პერსპექტიული გეგმები.

გამოცემულ იქნა ბრძანება (1985 წ. 31. 10.) „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ", რომლითაც განისაზღვრა სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა აღნიშნულისა, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, სწორი პროფესიული ორიენტაციის, ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მათი წვლილის გაზრდის, ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური განათლებისა და თვითმმართველობის საწყისების განვითარების მიზნით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შემუშავდა მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობების ტიპობრივი დებულება. ამჟამად რესპუბლიკაში გორის რაიონის სოფელ ძევერის, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის 1-ლი და მე-2, მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის საშუალო სკოლების მაგალითით 44-ზე მეტ სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობები, მათი რიცხვი სისტემატურად იზრდება.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად თბილისის 62-ე და 115-ე, ქუთაისის მე-8 და 34-ე საშუალო სკოლებში თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონის“, ქ. თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკისა და ქ. ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ ბაზებზე შეიქმნა და მუშაობს სკოლა-ფაბრიკები.

დიდი მუშაობა ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოთვლითი ტექნიკის მართვის უნარ-ჩვევებისა და მიკროკალკულატორების დაუფლების უზრუნველსაყოფად. 1984—1985 სასწავლო წლიდან თბილისის 25 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გამოთვლითი ცენტრების ბაზებზე, შრომითი სწავლების პროფილით შემოღებულ იქნა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისა და პროგრამირების სწავლება.

სკოლის რეფორმის შუქზე კიდევ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობამ მესამე სემესტრში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებების, შრომისა და დასვენების ბანაკების, საწარმოო ბრიგადების რაოდენობა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი. თუ გასულ წელს მოსწავლეთა შრომით გაერთიანებებში ჩაბმული იყო 187 100 მოსწავლე, მიმდინარე წელს მათმა რიცხვმა 195000-ს გადააჭარბა.

გატარებული საპროფორიენტაციო მუშაობის შედეგად გაიზარდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის მაჩვენებლები, განსაკუთრებით სკოლაში მიღებული პროფილის მიხედვით. 1984 წელს სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილით სამუშაოზე მოეწყო 8903 კურსდამთავრებული, რაც შრომაში ჩაბმულ კურსდამთავრებულთა 33,9%-ს შეადგენს. გარდა ამისა, სკოლაში მიღებული პროფილით სწავლას აგრძელებს 6428 ახალგაზრდა, სულ პროფილით დასაქმებულია 14331 კურსდამთავრებული, რაც მათი საერთო რაოდენობის 24%-ია (1983 წელს იყო 11%). წარმატებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება რესპუბლიკაში სოფლად და რაიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების ბაზაზე პროფტექნიკური განათლების შემოღების ექსპერიმენტი.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის განვითარებისათვის: 1985 წელს მწყობრში ჩადგა 3 კომბინატი, გაიზარდა მოსწავლეთა სამუშაო ადგილების რაოდენობა საბაზო საწარმოების საამქროებსა და უბნებში, 1984—1985 სასწავლო წელს მან მიაღწია 7560-ს, ნაცვლად 4687-სა 1983—1984 სასწავლო წელს.

რეფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელებში შრომითი ჩვევების, შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვისა და მწარმოებლურ შრომაში მათ ჩაბმას. ინტერნატულ დაწესებულებებთან შექმნილ სასკოლო საამქროებში აღსაზრდელების ძალებით იქმნება საზოგადოებისათვის სასარგებლო პროდუქცია, ამ მხრივ აღსანიშნავია სამტრედიის სპეციალური სკოლა, ფოთის, ლენტეხის, თბილისის უსინათლო ბავშვთა, რუსთავის სკოლა-ინტერნატები, ლენინგორის, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერისა და თბილისის № 1 საბავშვო სახლები.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით საქმიანობაში მათი ფართოდ ჩაბმის მიზნით მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის რესპუბლიკაში ფართოდ დაინერგა მოსწავლეთა ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის პრაქტიკა. სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა ამ მიმართებით ქ. თბილისის კიროვის რაიონის სკოლების მუშაობის გამოცდილება, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შემუშავდა მოსწავლეთა ნაკეთობების ფასების განსაზღვრისა და გაყიდვის ორგანიზების დებულება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობის განვლილი პერიოდის შედეგები შეჯამებულ იქნა 1985 წლის აპრილში ჩატარებულ თათბირ-სემინარზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მინისტრებმა, სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა, საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სასკოლო ინსპექტორებმა.

გაუმჯობესდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. ფართო მუშაობა გაიშალა დიდ სამამულო ომში ჰიტლერული ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკავშირო დათვალიერებაში, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის აქტივიზაციას, დაწყებითი სამხედრო მომზადების დონის ამაღლებას. აღნიშნულ დათვალიერება-კონკურსში აქ-

ტიური მონაწილეობისა და მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის 13 საშუალო სკოლა დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სრულყოფის მიზნით. სკოლამდელ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა საგარეჯოში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

საგრძნობლად გაძლიერდა ყურადღება მოსწავლეთა თვითმმართველობის სისტემის სრულყოფასა და შემდგომ განვითარებაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში. ქ. გორში ჩატარდა ზონალური მეთოდურ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი პიროვნების იდეურ-ზრნეობრივ ჩამოყალიბებაში“.

უფრო შემტევი და სრულყოფილი გახდა ბრძოლა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების აღსაკვეთად, გაძლიერდა პროფილაქტიკური მუშაობა, დაიხვეწა მისი ფორმები და მეთოდები.

სათანადო ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა შორის თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მომზადდა კოლეგიის გადაწყვეტილება და ბრძანება სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გადაჭრით გაძლიერების თაობაზე.

ქმედითი ღონისძიებანია გატარებული სკოლების აღმზრდელობით საქმიანობაში მშობლების, ფართო საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმის, მშობელთა პედაგოგიური განათლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად, რესპუბლიკის ყველა სკოლაში შექმნილია „მამათა საბჭო“. შესწავლილ იქნა და განზოგადდა ქ. თბილისის გლდანისა და გორის რაიონების მშობელთა საზოგადოებებისა და კლუბების მუშაობა. მშობლები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზაზე მოსწავლეებთან საწრეო და საკლუბო მუშაობისადმი.

გარკვეული ღონისძიებები გატარდა რესპუბლიკაში სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შუქზე ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. შემუშავდა თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასის პროგრამა ფიზკულტურაში, მომზადდა მეთოდიკური რეკომენდაციები სკოლისგარეშე მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურული მუშაობის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1985 წლის მარტში ქ. თბილისში ჩატარდა მოსწავლეთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირ-სემინარი. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით ქ. ქუთაისში ჩატარდა სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, ხოლო ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე სკოლამდელი ასაკის 500 ბავშვის მონაწილეობით გაიმართა სპორტული ზეიმი.

განთლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების შესაბამისი პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების, მათი კვალიფიკაციის აძაღლების საქმეს. გასული წლის სექტემბრისათვის რესპუბლიკის ყველა სკოლის ექვსწლიანთა 1-ლი კლასი დაკომპლექტებულ იქნა კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგიური კადრებით. დახელოვნების მოკლევადიანი კურსები გაიარა ამ კლასებში მომუშავე 3100 პედაგოგმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და განათლების განოფილებათა დაწყებითი კლასების, სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტის 139 მეთოდისტმა.

პედაგოგიურ კადრებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების მოთხოვნათა, კლასების გაყოფისა და სხვა მონაცემების საფუძველზე განიხაზღვრა მისაღები კონტინგენტი უნივერსიტეტებში, პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში 1986—1985 წლებისათვის.

გასული სასწავლო წლის განმავლობაში გარკვეული ღონისძიებები გატარდა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შუქზე სასწავლო დაწესებულებების მართვისა და ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის.

უფრო პრინციპული გახდა საშემსრულებლო დისციპლინისა და პასუხისმგებლობისადმი მიდგომა აპარატში და ადგილებზე, გაუმჯობესდა საინსპექტორო კონტროლი. 1984—1985 სასწავლო წელს კომპლექსურად შემოწმდა სახალხო განათლების ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობა და ადგილებზე სათანადო დახმარება გაეწიათ ლაგოდეხის, წალენჯიხის, მარნეულის, ლენტეხისა და კასპის რაიონებს.

ამაღლდა სკოლის პედაგოგიური საბჭოს როლი, გაძლიერდა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი. სერიოზული ყურადღება დაეთმო სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის ჩატარებული ორგანიზატორული მუშაობის ეფექტიანობის საკითხებს.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სასკოლო ცხოვრებაში ფორმალიზმის, თვალის ახვევის გამოვლინებათა დაძლევის, სისტემის დაწესებულებებში „ქაღალდომანიის“ ძირეულად აღმოფხვრისათვის. მი-

ღებულია ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის დაგეგმვისა და ინსპექტირების მოსაწესრიგებლად, ამაღლდა ზონალური ინსპექტორების ინსტიტუტის როლი და პასუხისმგებლობა.

მიმდინარე წელს ჯეროვანი ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა მიერ „შპარგალკის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკის აღკვეთას. განათლების სამინისტრომ კოლეგიის სხდომაზე საგანგებოდ განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთაც უკვე მიმდინარე სასწავლო წელს უზრუნველყვეს გამოსაშვებ გამოცდებზე მოსწავლეთა ცოდნის ობიექტური შეფასება.

ამასთან, სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა მიერ სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესრულების მიზნით გაწეული მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებსა და პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზე უნდა იყოს მობილიზებული სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, სახალხო განათლების ორგანოების ძალები.

რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განუხრელად განხორციელების საქმეში. ჯერ კიდევ დიდია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დროულად ვერ ღებულობენ რვაწლიან და სრულ საშუალო განათლებას. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. მარნეულის, ახმეტის, ვანის, ლაგოდეხის, მესტიის, წალენჯიხის, წალკის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებს.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქ. ქ. თბილისში, გორში, ახალქალაქის, გარდაბნის, მარნეულის, მესტიის, დმანისისა და რიგ სხვა რაიონებში კვლავ ადგილი აქვს სკოლიდან მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევებს, არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი მეორეწლიანებთან მუშაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით რესპუბლიკაში შემცირდა მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლებისა და პედაგოგიური კოლექტივების მიერ მეორეწლიანობასთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობის შეუფასებლობამ, დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა სერიოზული ნაკლოვანებები საყოველთაო სწავლების განხორციელების ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე. აღსანიშნავია ამ საქმეში ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, მახარაძის, მცხეთის, თელავის, თეთრი წყაროს, წალკის, წითელწყაროს, ჯავისა და სხვა რაიონების არასაკმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი. მუშაობა. აქ კვლავ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა.

ვერ შესრულდა ზოგიერთი საგეგმო დავალება, მოსწავლეთა კონტინგენტმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 856,7 ათასისა, შეადგინა 856,2 ათასი (99,9%), საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54,0 ათასისა, შეადგინა 50,2 ათასი (95%). ვერ შესრულდა კონტინგენტის გეგმიური დავალებები საბავშვო სახლებშიც, სადაც დაგეგმილი 1,7 ათასის ნაცვლად ჩარიცხულია 1,4 ათასი ბავშვი.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა და წარმატებებისა, რესპუბლიკაში კვლავ ნელი ტემპით ფართოვდება გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელი, რის გამოც ვერ ხერხდება ასეთი ტიპის დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. საკმარისია აღინიშნოს, რომ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში I-VIII კლასების მოსწავლეთა ჩაბმის მაჩვენებელი (18%), საკავშიროსთან (37,5%) შედარებით, ძალზე დაბალია. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ქალაქებში, სადაც მაღალია მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების დონე, ხოლო ძალზე დაბალია გახანგრძლივებული დღისრეჟიმის სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმა. რესპუბლიკაში დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ 17 გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლა, მაშინ, როდესაც ქ. ქ. ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, ზესტაფონში, გორში, სამტრედიაში, ცხინვალში, თბილისის ლენინის, კიროვის, ოქტომბრისა და საბურთალოს რაიონებში არც ერთი გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლა არ არის. აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში I-VIII კლასების მოსწავლეთა მხოლოდ 6-14 პროცენტი არის ჩარიცხული გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, ანალოგიური მდგომარეობაა მთელ რიგ სოფლის რაიონებში, განსაკუთრებით ახალქალაქის, ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, რაიონებში, სადაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის პროცენტი 0,5-დან 9-მდე მერყეობს.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს ბავშვთა კვების ორგანიზაცია. სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს რესპუბლიკის 454 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას საერთოდ არ აქვს კვების ბლოკი.

ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საჭირო აქტიურობას სკოლის რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიმართულების რეალიზაციის საქმეში, ეს მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს რაიონულ რგოლსა და უშუალოდ სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიანურდება ახალი სასკოლო პროგრამების მომზადება, დადგენილ ვადებში არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დავალებები.

სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ საჭირო შეექნა სხვადასხვა დასახელების ლიტერატურის გამოცემა, რომელთა ორგინალების რედაქტირება ამჟამად მიმდინარეობს. უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე გამსახკომის სტამბაში უმოძრაოდ დევს და დღემდე დაუბეჭდავია 1-ლი კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები: „ქართული ანბანი", „მოძრავი ანბანი", „მოძრავი ციფრები", „ვისწავლოთ სწორად ლაპარაკი", „რა არის კარგი, რა არის ცუდი" და ა. შ. გამოსაცემია აგრეთვე წერის დედნები და სამუშაო რვეულები სუსტადმხედველი ბავშვებისათვის (სულ 11 დასახელება).

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებისა და განათლების სამინისტროს მიერ გატარებული მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძებების მიუხედავად, ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები კვლავ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საქმეს. არ ღებულობენ სათანადო ზომებს შრომითი სწავლების ორგანიზაციის, სასწავლო-საწარმოო კომბინატებისა და საამქროების გახსნისათვის, არ ზრუნავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. არასაკმარის ღონისძიებებს ატარებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ჯერ კიდევ დიდია სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი, რომელთაც არ გააჩნიათ სასწავლო სახელოსნოები, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები. კვლავ გადაუჭრელია სასკოლო სახელოსნოების სათანადო მასალებით მომარაგების საკითხი. მიმდინარე წელს უკვე გატარებულია კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნული ნაკლოვანების სალიკვიდაციოდ; დასმულია საკითხი ხე-ტყისა და ლითონების ფონდის გაზრდის შესახებ. არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ჩაბმის მიზნით. შრომითი სწავლების საქმეს მნიშვნელოვნად ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა მშობლიურ ენაზე შრომითი სწავლების სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის გამოცემა, მით უფრო, რომ შრომითი სწავლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი არასპეციალისტია ან არ აქვს პედაგოგიური განათლება. რიგ რაიონებსა და ქალაქებში დაბალია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დასაქმება სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილების მიხედვით, რაც ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ შემთხ-

ვევებში რაიაღმასკომების მიერ დამტკიცებული შრომითი სწავლების პროფილები ან შეესაბამება მუშათა კადრებზე ადგილობრივ მოთხოვნებს.

საკმარისი არ არის განათლების განყოფილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მცდელობა შრომითი აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქმედითი კონტროლი არ არის დაწესებული შრომითი სწავლების მასწავლებლების მუშაობაზე. ამის გამო ზოგჯერ, შრომითი სწავლების გაკვეთილები დაბალ დონეზე ტარდება.

ჯერ კიდევ გადაუჭრელია რესპუბლიკაში გონებრივი და ფიზიკური განვითარების დეფექტის მქონე ბავშვთა პროფესიული განათლებისა და შრომთი მოწყობის პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა გამოიძებნოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, რომელთაც დაეკალებათ გონებრივად ჩამორჩენილ, სმენადაქვეითებულ, ყრუ და ძხედველობადაქვეითებულ ბავშვთა პროფესიული მომზადება და კვალიფიციური მუშათა კადრების სამსახურებრივი მოწყობა.

ნაკლოვანებებია მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, მოზარდთა შორის დანაშაულის დროული პროფილაქტიკისა და აღმოფხვრის საქმეში. არასაკმარისი ყურადღება აქვს დათმობილი შვილების აღზრდაში მშობელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, ჯერ კიდევ არ არის აქტიურად გამოყენებული შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი, საზოგადოებრივი აზრის ძალა.

ცალკეულ რაიონებში სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ ახალი საგნის „ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ შემოღებას. არ გაატარეს საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებები, რის შედეგადაც აღნიშნული საგნის მასწავლებლებად არ იქნენ შერჩეული სათანადო სპეციალისტები.

ხარვეზები და სიძნელეებია მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში. კვლავ პრობლემად რჩება მეცადინეობებზე მოსწავლეთა არადამაკმაყოფილებელი გამოცხადება. სუსტია მოზრდილთა სკოლების კონტაქტები საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, არ არის გამოყენებული ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა და დახმარება. სკოლების ერთ ნაწილში სათნადო დონეზე ვერ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ნელი ტემპით და გაუბედავად ხორციელდება მუშაობა სახალხო განათლების ყველა რგოლში სკოლის მართვის ბიუროკრატიული სტილის აღმოსაფხვრელად, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში მასწავლებელთა უფლებების გასაფართოებლად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში ეფექტიანი ფორმებისა და საშუალებების დასანერგად.

კვლავ ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა და ლიბერალიზმის გამოვლენის შემთხვევებს. რიგ სკოლებში მეცნიერება მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხელოვნურად, დაუმსახურებლად ამაღლების ფაქტები, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს დამამთავრებელ კლასებში. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მიმდინარე სასწავლო წლის 1 სემესტრის შემდეგ ოქროს medlით დაჯილდოების კანდიდატად ითვლებოდა 542 მოსწავლე, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდისათვის — 415,1 გამოცდის შემდეგ სამინისტროში წარმოდგენილი იყო 274 ნამუშევარი. რესპუბლიკური საგნობრივი კომისიების მიერ შეფასება „ფრიადი" დაუმტკიცდა 218-ს, ჩამოაკლდა 58-ს (გასულ წელს 28-ს).

აღსანიშნავია ისიც, რომ გადამოწმების შემდეგ არც ერთი medlის კანდიდატი არ დარჩათ ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ქარელის, მესტიის, სამტრედიის, სიღნაღის, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძისა და ჩოხატაურის რაიონებს. ამავე დროს გამოსაშვები გამოცდების შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ზოგიერთ სკოლებში შეიმჩნეოდა „ინსტრუქციის" დარღვევის ცალკეული ფაქტები.

სახალხო განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ ცალკეული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ განათლების დაწესებულებებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ სკოლებს, სუსტად აკონტროლებენ და წარმართავენ მათ საქმიანობას, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მიმართ. მათ მუშაობაში სათანადოდ არ არის დანერგილი მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება, საკმაო ყურადღება არ ექცევა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სასკოლო ინსპექციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, მისდამი დაქვემდებარებულმა რესპუბლიკურმა დაწესებულებებმა:

1. 1. გაამახვილონ სახალხო განათლების ორგანოებისა და პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილისა და ოქტომბრის (1984 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად;

1. 2. მიიღონ გადამჭრელი ზომები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივლისის № 11-1 გადაწყვეტილების განუხრელად შესრულებისათვის;

1. 3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაობას ახალგაზრდობის საშუალო განათლების განხორციელებისათვის, ბრძოლას პროცენტომანიის, ფორმალიზმის დასაძლევად;

1. 4. დაიჩქარონ სასწავლო გეგმების მომზადება, სახელმძღვანელოებისა და პროგრამების დამუშავება;

1. 5. იმ სიბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში, სადაც არის შესაბამისი პირობები, გახსნან ექვსწლიანთა 1-ლი კლასები;

1. 6. მობილიზებულ იქნას სკოლის პედაგოგიური კოლექტივების ძალები გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებისა და საშინაო დავალებათა მოცულობის შემცირებისათვის ბრძოლაში;

1. 7. კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ 1985 წლის 1-ლი სექტემბრიდან საშუალო სკოლებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" კურსის შემოსაღებად;

1. 8. დამატებითი ღონისძიებები გაატარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობით მოსწავლეთა შეგნების ფორმირებას;

1. 9. მიიღონ ზომები სახალხო განათლების მართვის ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის, მოაწესრიგონ ინსპექტორული კონტროლის სისტემა, მკვეთრად შეამცირონ სხვადასხვა სახის მითითებათა ნაკადი, ანგარიშები და შეკითხვები, რომლებიც პედაგოგიურ კოლექტივს წყვეტს ცოცხალი, შემოქმედებითი საქმიდან. უზრუნველყონ პედაგოგიურ კოლექტივებში მტკიცე მორალური კლიმატის შექმნა;

1. 10. განაგრძონ მუშაობა სასკოლო ქსელის შემდგომი სრულყოფისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის რვაწლიანი სკოლების საჭირო კონტინგენტით შევსებას, გააანალიზონ დაშორებული სოფლებიდან ბავშვების სკოლებამდე ტრანსპორტირების საქმეში არსებული ხარვეზები და მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღონ ქმედითი ზომები, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ სხვა რესპუბლიკებში დაგროვილი გამოცდილება;

1. 11. გაატარონ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის, დაგეგმონ და წლის გან-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში შეამოწმონ სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობა, გააანალიზონ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების საქმეში გაწეული მუშაობა, უფროსკლასელებთან ფართოდ გამოიყენონ სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, გასაუბრება და სხვ.

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა:

— სისტემატურად აამაღლონ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელი როლი, უნარიანად შეუხამონ დროული კონტროლი ქმედით დახმარებას, მიაღწიონ თითოეული მმართველობითი რგოლის მაღალ პასუხისმგებლობას მათ წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტაში. ორგანიზაციულ-პედაგოგიური და მეთოდური მუშაობა გახადონ მაქსიმალურად კონკრეტული, საქმიანი და ოპერატიული.

3. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა რეალიზაციის 1985 წლის საკონტროლო ღონისძიებები (თან ერთვის).

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე) და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

5. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს (ამხ. ამხ. მ. კობახიძე, მ. დარჩია, ო. დოლიძე, თ. ვაჩნაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

დანაბეჭდი ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა ამოცანების რეალიზაციის 1985 წლის საკონტროლო ღონისძიებები

1. შესწავლილ იქნას სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების, გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებისათვის, სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე ფორმების, მეთოდებისა და საშუალებათა დანერგვისათვის; მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ობიექტურობისათვის; საშინაო დავალებების დოზირებისათვის; მასწავლებელთა შრომის შედეგების შეფასების სრულყოფისათვის ჩხოროწყუს, თეთრი წყაროს, ონის რაიონებსა და ქ. რუსთავში

სკოლების სამმართველო
სექტემბერი-დეკემბერი

2. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის შემოწმება (შერჩევით)

სკოლების სამმართველო, მოძარაგების მთავარი სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

წლის განმავლობაში

3. განხორციელდეს კონტროლი სიღნაღის, სამტრედიის, ასპინძის, ჯავისა და ხელვაჩაურის რაიონების სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობაზე, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის მატერიალური ბაზის, მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის, საწარმოებში მოსწავლეთათვის სამუშაო ადგილების შექმნის, სკოლისა და პროფტექსასწავლებელთა კავშირის, სასწავლო-საწარმოო კომბინატების განვითარების, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

სკოლების სამმართველო, კადრების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ივნისი-დეკემბერი

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მოსმენილ იქნას ანგარიშები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 1. ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილებისა — სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შუქზე მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის შესწავლის მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ

სკოლების სამმართველო
ოქტომბერი

4. 2. თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა მიღების შესახებ“ შესრულების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ

სკოლების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი
სექტემბერი-ოქტომბერი

4. 3. კასპისა და ამბროლაურის რაიონების განათლების განყოფილებებისა — მოსწავლეთა შორის სამართალდარღვევათა აღკვეთის პროფილაქტიკის მუშაობის შესახებ

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
ოქტომბერი-ნოემბერი

5. ქარელისა და დმანისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების მიერ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ჩატარებული მუშაობის შემოწმება

სკოლების სამმართველო
ივლისი

6. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი
სისტემატურად

7. სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების ერთობლივი მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, განათლების სამინისტროსა და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ბრძანებების მომზადება შრომითი სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეში პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლების ბაზების გამოყენების შესახებ

სამინისტროს ხელმძღვანელობა, სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი-დეკემბერი

8. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარმოებლური შრომის სასწავლო-მატერიალური და საწარმოო ბაზების შექმნის საქმეში საბაზო საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების აქტიურად ჩაბმის მიზნით სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ერთობლივი ბრძანებების მომზადება და ადგილებზე მათი შესრულების მიმდინარეობის შემოწმება

სკოლების სამმართველო

სისტემატურად

9. სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება საგარეჯოში თემაზე: „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ფორმები და შინაარსი“

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

10. კონკურსის „საუკეთესო სათამაშო ბავშვებს“ ჩატარება

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

წლის განმავლობაში

11. გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა რეფორმირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის სასწავლო პროგრამების გადამუშავება

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

ოქტომბერი-დეკემბერი

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესრულების მიზნით, დაინტერესებულ სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან ერთად, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარება

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

წლის განმავლობაში

13. პედაგოგიური კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადების შემდგომი სრულყოფის მიზნით დამატებით ღონისძიებათა განხორციელება (სპეცგეგმის მიხედვით)

კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

წლის განმავლობაში

14. სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შუქზე ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის შემოწმება ჩოხატაურის, ონის, ყაზბეგისა და გურჯაანის რაიონებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადრების სამმართველო
წლის განმავლობაში

15. პედაგოგიური კადრების ატესტაციის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება პედაგოგიური კადრების ატესტაციის სრულყოფის შესახებ სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შუქზე (საგარეჯოში)

კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

16. სახალხო განათლების ორგანოებისადმი კონტროლი და დახმარება 1984—1990 წლებში სახალხო განათლების სისტემის ობიექტების მოქმედებაში შეყვანის დადგენილ დავალებათა შესრულების საქმეში

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
წლის განმავლობაში

17. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაწყებითი, ცხრაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპური შტატების დაზუსტება და დამტკიცება

საგეგმო-საფინანსო სამმართველო
ოქტომბერი-დეკემბერი

18. სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით მოთხოვნათა შესწავლა და შესაბამის ორგანოებში განაცხადების წარდგენა ავეჯზე, რბილ და მაგარ ინვენტარზე, თვალსაჩინოებასა და სასწავლო მოწყობილობაზე სკოლის რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით

მომარაგების მთავარი სამმართველო
წლის განმავლობაში

19. კოლეგიის სხდომაზე სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების ანგარიშების მოსმენა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ

სამინისტროს ხელმძღვანელობა, საორგანიზაციო-პედაგოგიური განყოფილება
აგვისტო-დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-19 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობილი დადგენილება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეში. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების კეთილისმყოფელი გავლენა აშკარად დაეტყო მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც წელსაც ორგანიზებულად ჩატარდა ქ. ქუთაისში.

მიმდინარე, 1984—1985, სასწავლო წელს მოსწავლეთა მე-18 ლიტერატურული ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII-IX-X კლასების მოსწავლეებმა.

დასკვნითი ტურის 528 მონაწილიდან გაიმარჯვა და პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 32, მეორე ხარისხის სიგელით — 80, მესამე ხარისხის სიგელით — 209 მოსწავლე.

ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებზე შესრულებული ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უკანასკნელ ხანებში საერთოდ ამაღლდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე. მასწავლებელთა ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება მის წინაშე მდგარ სადღეისო ამოცანებს, სათანადო ყურადღებას უთმობს როგორც პროგრამული მასალის შესწავლას, ისე კლასგარეშე კითხვას, წაკითხულის შესახებ მსჯელობას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების, სწორად წერისა და მეტყველების უნარჩვევათა გამომუშავებას. ამის შედეგად მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ განათლებული, წიგნიერია, აქვს საკითხის ღრმად წვდომისა და ანალიზის უნარი, კარგად ახერხებს ენის კანონების პრაქტიკულად გამოყენებას, ლიტერატურული მასალიდან სათანადო ადგილების მოხმობას, გაგებას და თხზულებასთან მათ მისადაგებას.

მოსწავლეთა **რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე** წარმატებას მიაღწიეს: ქ. თბილისის მე-10, 48-ე, 57-ე, 67-ე, 68-ე, 89-ე, 94-ე, 117-ე, 140-ე, 150-ე, ქ. ქ. ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, რუსთავის, მახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაძის, ზესტაფონის, საგარეჯოს, საჩხერის, თერჯოლის, სამტრედიის, ონის, ყვარლის, კასპის, მაიაკოვსკის, გალის, ვანის, წალენჯიხის, ახალციხის, ადიგენის, ახმეტის სიღნაღის, ცაგერის, მესტიის რაიონების ქართული, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, 26 კომისრის, საქარხნო რაიონების, ქ. ქუთაისის, თეთრი წყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონების რუსული, ქ. თბილისის 104-ე, 110-ე, ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონების სომხური, ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს, გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს: ს. ბექაურის, გ. შურღაიას, ლ. ბედუკაძის, მ. ხოშტარიას (ქ. თბილისის მე-10, 48-ე, 67-ე, 89-ე საშუალო სკოლები, მასწავლებლები: ნ. გუგუტიშვილი, მ. მიდელაური, ვ. კალანდაძე, თ. ჩხეიძე), მ. ფაჩოშვილის (ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი ლ. დავითაშვილი), დ. ზაქარაიას (გალის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი დ. გაბედავა), ნ. ზაქარაიას (ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. კუკავა), ი. მამასახლისის (ვანის რაიონის სოფელ ზედა ვანის საშუალო სკოლა, მასწავლებელი შ. ნატრიაშვილი), ბ. ჩეკურიშვილის (გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლა, მასწავლებელი რ. მოსემღვდლიშვილი), ი. ბალარჯიშვილის (გურჯაანის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ი. ბალარჯიშვილი), ხ. ლომიძის (ქ. ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. სამხარაძე), ლ. ნიქაბაძის (ზესტაფონის რაიონის სოფელ 1-ლი სვირის საშუალო სკოლა, მასწავლებელი დ. ნიქაბაძე), ი. დეკანოიძის (საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის საშუალო სკოლა, მასწავლებელი დ. დეკანოიძე), თ. სტეფანიას (მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ი. ბრეგაძე), ი. ენუქიძის ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, მასწავლებელი ს. ფარჯიანი), ლ. მარგიანის (მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი ც. ნაფერიანი), ნ. ლეჟავას, ნ. ყაველაშვილის (რუსთავის მე-18, მე-15 საშუალო სკოლები, მასწავლებლები: ზ. გოგოლაძე, ც. ქორიძე), ქ. ჩაჩანიძის (ახალციხის რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ე. აფციაური), თ. ბუზალიძის (ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. ბორძილაძე), თ. მეშველიანის (ცაგერის რაიონის საშუალო სკოლა, მასწავლებელი თ. კოპალიანი), ნ. სალინაძის (ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერის რვაწლიანი სკოლა, მასწავლებელი თ. დოლბაია), ქ. ღვინჯილიას, ე. ევსიას (წალენჯიხის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი ვ. კვარაცხელია), თ. მჟავანაძის (ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. ხრისტოსოლიდი), ს. პეტიუკევიჩის (თბილისის 42-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ი. ბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტეინი), ნ. მოზდოკელის (თბილისის 52-ე საშუალო სკოლა, მასწავ-ლებელი ნ. კახეთელიძე), ლ. ეგოროვას (თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი კ. კშონზერი), ი. ბარციცის (გუდაუთის რაიონის მე-12 საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. ბარდინა), მ. კიზირიდის (თეთრი წყაროს რაიონის მე-2 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ი. დანელიანი), ლ. ვერიგინას (ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის საშუალო სკოლა, მასწავლებელი გ. კალმიკოვა), ფ. აბაევასა და ზ. ჯაჯიევას (ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ზ. თედეევა), ა. კადოჩნიკოვას (რუსთავის მე-19 საშუალო სკოლა, ბ. ტუბინა), ნ. ხაჩიძის (რუსთავის მე-13 საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. პროხოროვა), ს. კონაკანიანის (ასპინძის რაიონის სოფელ დამალის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. საღათელიანი), კ. მარქარიანის (ახალქალაქის რაიონის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ვ. გალუსტიანი), ა. პეტროსიანის (წალკის რაიონის სოფელ ოზნის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ლ. პესიანი), ი. ავალიანის, ს. გევორქიანის (თბილისის 104-ე და 110-ე საშუალო სკოლები, მასწავლებლები: ნ. გინოსიანი, ა. გევორქიანი), გ. კარსლიანის (ბოგდანოვკის რაიონის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ა. მგდესიანი), ე. მურადოვას (გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს საშუალო სკოლა, მასწავლებელი ზ. კარიბოვი), გ. მახმაუდოვას (გარდაბნის რაიონის სოფელ კალინინის საშუალო სკოლა, მასწავლებელი ზ. იბრაგიმოვა), ე. ბადალოვას (ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს საშუალო სკოლა, მასწავლებელი ტ. ღარიბოვი) თხზულებებმა.

ამასთან, ოლიმპიადის ზონალური და დასკვნითი ტურების შედეგების ანალიზმა ისიც გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს უჭირს დამოუკიდებელი აზროვნება, თავისუფალი თემების სწორად გააზრება, საკუთარი ნააზრევის თანამიმდევრულად გადმოცემა, ფაქტების, მოვლენების განზოგადება. განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოავლინეს: ცხაკაიას რაიონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5, სოფლების ხორშის, თეკლათის ნოქალაქევის, ნოსირის, ბორჯომის 1-ლი, ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის, ხობის, გეგეჭკორის, ზნაურის, ლენინგორის რაიონების, თბილისის 29-ე, 173-ე ქართული, თბილისის 168-ე, ბათუმის მე-7, მე-10, მე-18, ჭიათურის მე-10, ბორჯომის მე-9, ზუგდიდის მე-2, გორის მე-12 რუსული სკოლების მოსწავლეებმა.

აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა წარუმატებლობა განპირობებულია იმით, რომ დასახელებული სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს მოსწავლეთა წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს კლასგარეშე მუშაობას.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური კაბინეტები ჯერ კიდევ სათანადო დახმარებასა და კეთილ-
როლს არ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მშობ-
ლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, უპასუხისმგებლოდ
ეკიდებიან აღნიშნული საგნის სწავლებაზე ზემდგომი ორგანოებიდან
მიღებულ მითითებათა შესრულებას, არ ითვალისწინებენ ოლიმპიადის
მნიშვნელობას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთე-
ტიკურ აზრდაში.

ოლიმპიადისადმი ცალკეული სახალხო განათლების განყოფილებე-
ბისა და სკოლების ხელმძღვანელთა უგულისყურო დამოკიდებულების
შედეგად რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა ვერ მიიღეს გაგრის,
ტყვარჩელის, ოჩამჩირის, შუახევის, აბაშის, ახალქალაქის, მარნეულის,
ლაგოდეხის ქართული, თბილისის (კიროვისა და ოქტომბრის რაიონე-
ბი), ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, საგარეჯოს, სამტრე-
დიის, წითელწყაროს რაიონების რუსული, ბოლნისის, ახალციხის,
თეთრი წყაროს, მარნეულის სომხური, თბილისის 64-ე, წალკის, თეთ-
რი წყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავის რაიონების აზერბაიჯა-
ნული სკოლების მოსწავლეებმა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-18 რეს-
პუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდეს: პირველი
ხარისხის სიგელით — 32, მეორე ხარისხის სიგელთ — 80 და მესამე
ხარისხის სიგელით — 209 მოსწავლე.

2. ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ორგანიზებასა და ჩატარებაში
აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სსრ კავშირის სახალ-
ხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით ქუთაისის სახალხო
განათლების განყოფილების გამგე ამხ. თ. ფირცხალაშვილი, მე-2 სა-
შუალო სკოლის დირექტორი ამხ. ა. სანდუხაძე, სსრ კავშირის განათ-
ლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის
საპატიო სიგელით ქალაქ ქუთაისის მეთოდური კაბინეტების მეთოდის-
ტები ე. ნუცუბიძე და ა. ტერ-ანტონოვა.

3. მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის
დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ს. ხუციშვილი — თსუ ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის
პროფესორი (თავმჯდომარე)

ე. ქურციკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (თავმჯდომარის მოად-
გილე)

ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ვ. გასპარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ნ. ნადარეიშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

თ. კვაჭანტირაძე — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ რედაქტორი, დოცენტი

რ. გაბეჩავა — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა სექტორის გამგე, დოცენტი

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ნ. რუხაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (მდივანი)

ა. კასრაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

ნ. სამნიაშვილი — გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

დ. ბერიძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი

ა. გუჯაბიძე — მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის საქალაქო ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგე

შ. მურადოვი — გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორი

ვ. გრიგორიანი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

4. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. ამასთან, განისაზღვროს მათი ჩატარების ვადები: სასკოლო და სარაიონო (საქალაქო) — 1985 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზონალური — 1986 წლის 26 იანვარს, დასკვნითი — 1986 წლის 30 მარტს.

5. ოლიმპიადის რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა ქმედითი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლების, რაიონების (ქალაქების) და ზონების საორგანიზაციო კომიტეტებს ადგილებზე ოლიმპია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში, მანვე მოამზადოს და სკოლებს დაუგზავნოს მეთოდიკური რეკომენდაციები საოლიმპიადო თხზულებებზე მუშაობის შესახებ.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

6. 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება „მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-19 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ“ სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით გულდასმით განიხილონ და გააცნონ მასწავლებლებს მეთოდგაერთიანებათა სხდომაზე;

6. 2. დროულად შექმნან ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) და ზონალური ტურების ჩასატარებლად საორგანიზაციო კომიტეტები. განახორციელონ მათდამი საჭირო კონკრეტული ხელმძღვანელობა.

7. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საგნის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა შერჩევას, ჩააბან ისინი საგნობრივ წრეებში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი მხატვრული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი დონის შემდგომ ამაღლებას.

8. ლიტერატურულ ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა წახალისების მიზნით:

8. 1. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ვ. ლორთქიფანიძე) დააწესოს ოთხი პრიზი რესპუბლიკის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში;

8. 2. გაზეთმა „სახალხო განთალებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) დააწესონ სამი პრიზი VIII, XI, X კლასების მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში, მათვე პერიოდულად გამოაქვეყნონ ინფორმაციები სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი ტურების მიმდინარეობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი), ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ქაღალდი.

10. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ო. კერესელიძე) თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის 1986 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ თ. ტატიშვილი) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 24 ივნისის ბრძანება № 384

ნორჩ მათემატიკოსთა 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 4840 მოსწავლემ, მათ შორის 2050-მა სოფლის სკოლებიდან; საქალაქო (სარაიონო) ტურში — 2240-მა, მათ შორის 1010-მა სოფლის სკოლებიდან, ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად 1550 მოსწავლე მოვიდა, მათგან 600 სოფლის სკოლებიდან იყო. რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში 220 მოსწავლე მონაწილეობდა, რომელთაგან გამარჯვებული გამოვიდა 48, მათ შორის I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 3, II ხარისხის სიგელით — 6, III ხარისხის სიგელით — 39.

1984—1985 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებმა სათანადო მუშაობა ჩაატარეს ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი ტურებისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, რის შედეგადაც სკოლებიდან ოლიმპიადებზე წარგზავნილმა მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა თავი ისახელა და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე კარგი შედეგები გამოავლინეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატების, ქ. თბილისის 42-ე, 144-ე, 166-ე და ქ. ფოთის მე-2 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის დასკვნით ტურში ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის 22 მოსწავლე ანუ ამ სკოლიდან რესპუბლიკურ ტურზე მონაწილე მოსწავლეთაგან გამარჯვებული 48% გამოვიდა, ხოლო ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლიდან რესპუბლიკურ ტურზე მოსული 20 მოსწავლიდან გაიმარჯვა 9 მოსწავლემ (45%). ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის 21 მოსწავლიდან წარმატებას მიაღწია და სიგელებით დაჯილდოვდა 7 მოსწავლე (33%). საკავშირო ოლიმპიადაზე გაგზავნილი რესპუბლიკის გუნდიდან 2-მა მოსწავლემ მესამე ხარისხის დიპლომები დაიმსახურა.

აღნიშნულ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკური ოლიმპიადებისათვის მზადებისა და ოლიმპიადის დასკვნით ტურზე გასაგზავნ მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება. სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკის საგნით დაინტერესებულ მოსწავლეებთან მუშაობა. თანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის საგნობრივი წრეების საქმიანობა, ზოგჯერ წრის მეცადინეობაზე განსახილველი საკითხები ზოგადი და მოსწავლეთათვის მოსაწყენი ხასიათისაა. არ ხდება საოლიმპიადო ამოცანების განხილვა, დაბალ დონეზე დგას ფაკულტატური მეცადინეობის გაკვეთილები, სკოლებში არ ეწყობა მათემატიკური ვიქტორინები და სხვა. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე მოსწავლეთა საკმაო ნაწილი მოუმზადებელი მოვიდა, დაბალი ცოდნა გამოავლინეს: ქ. გორის, ქ. ზუგდიდის, ახალქალაქის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, მახარაძის, წალკის, ყვარლის რაიონების, ქ. სოხუმის მე-14, მე-19 და სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

ნამუშევრების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეები სუსტად ფლობენ მათემატიკური გარდაქმნების ტექნიკას, არ აქვთ განვითარებული ლოგიკური მსჯელობის ჩვევები, საჭირო შემთხვევაში ვერ იყენებენ კოშის უტოლობას, არ იციან სამკუთხედის მახვილი, მართი და ბლაგვი კუთხის მოპირდაპირე გვერდის კვადრატის დამოკიდებულება დანარჩენი ორი გვერდის კვადრატის მიმართ. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ამოცანის გააზრებას და ანალიზს, ცდილობს საკითხს მოუაროს ტრივიალური შემთხვევის განხილვით და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკური ოლიმპიადის ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოდგენილ გამარჯვებულ მოსწავლეთა სია, რომლის მიხედვით დაჯილდოვდეს 48 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით — 3, II ხარისხის სიგელით — 6 და III ხარისხის სიგელით — 39 მოსწავლე (დანართი 1).

2. 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტური ჩატარდეს 1985 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალქო) 1986 წლის იანვარში, ზონალური — 1986 წლის 16 თებერვალს, დასკვნითი ტური — 1986 წლის 26-27 მარტს, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ.

3. ნორჩ მათემატიკოსთა 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ჭანტურია ზ. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსერიძე ლ. ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)

ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილების გამგე

თოფურია ს. მ. — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი

ბალაბახოვი ვ. ბ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

ოვნანიანი რ. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტის გამგე

ერაძე გ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე

ლაგვირავა ვ. ლ. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

დილდაროვა ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

ცხადაია ა. ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი

გოლოძე ლ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ხარაბაძე ე. გ. — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

4. რესპუბლიკის სკოლებმა, სასკოლო, საქალაქო (საარაიონო), ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტებმა განუხრელად იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1980 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებული ოლიმპიადის ჩატარების დებულებით.

5. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ მათემატიკის 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა მათემატიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) უფრო მასობრივი გახადონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეობა, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე მუშაობას, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე), ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1986 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩასატარებლად.

8. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოს ოლიმპიადისათვის საჭირო ქაღალდით.

9. ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები, გარდა დაწესებული I, II, III ხარისხის სიგელებისა, დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. საჭირო ხარჯები კი გათვალისწინებულ იქნას ოლიმპიადის ჩატარების ხარჯთაღრიცხვაში.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

დანარჩენი ბიბლიოთეკა

ნორჩ მათემატიკოსთა 29-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში
გამარჯვებულ მოსწავლეთა სია:

I ხარისხის სიგელით

მე-8 კლასი

1. ენუქიძე ნ. ნ. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

მე-9 კლასი

1. სუდაკოვი ვ. დ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

მე-10 კლასი

1. მერაბიშვილი მ. პ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

II ხარისხის სიგელით

მე-8 კლასი

1. გარდავაძე გ. უ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. კახიანი კ. ვ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

მე-9 კლასი

1. თოდუა თ. ბ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. გამარნიკი დ. პ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. მურალაშვილი დ. ს. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

მე-10 კლასი

1. ბელდიშევსკი გ. ო. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა
2. კაპანაძე ა. ი. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

III ხარისხის სიგელით

მე-8 კლასი

1. გავაშელი მ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ღორთიშვილი გ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. გევორქოვი ო. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გრიდნევი გ. დ. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

მე-9 კლასი

1. მაჭარაძე ზ. თ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

2. ნატროშვილი კ. ნ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

3. ქუჩულორია დ. ს. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

4. შარვაძე ზ. მ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

5. თევდორაშვილი მ. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

6. ნოდია ვ. ფ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

7. ქინქლაძე თ. ნ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

8. ნიკოლაიშვილი გ. თ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

9. ხელაშვილი ი. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

10. შარაძე ნ. ზ. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა.

11. ხუჭუა ბ. ო. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

12. ბარნაველი თ. თ. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

13. ნოსელიძე ი. ლ. — თბილისის 166-ე საშუალო სკოლა

14. კობახიძე ზ. ბ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

15. კუპრაშვილი გ. გ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

16. კაკაურიძე დ. დ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

17. მანველიძე ნ. კ. — ფოთის მე-2 საშუალო სკოლა

მე-10 კლასი

1. დგებუაძე გ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

2. ბოკუჩავა გ. დ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

3. გოგოლაძე გ. ჯ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

4. კალინინი ლ. მ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

5. მოწონაშვილი ი. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

6. კამკამიძე გ. — თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა

7. ცერცვაძე გ. ა. — თბილისის 144-ე საშუალო სკოლა

8. გველესიანი ნ. გ. — თბილისის 71-ე საშუალო სკოლა

9. აბზიანიძე ზ. დ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

10. ყაზაიშვილი დ. მ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო-სკოლა-ინტერნატი

11. მაღლაკელიძე პ. გ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

12. ბაბუნაშვილი ვ. — ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა

13. ვერბიცკი ი. მ. — სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა

14. ბაბიკიანი ო. ს. — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა

15. სანოსიანი ა. ა. — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ საოქის საშუალო სკოლა

16. გოგელიძე ნ. ო. — ფოთის მე-2 საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 24 ივნისის გრძანება № 385

ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

1984—1985 სასწავლო წელს ჩატარებულ ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII-X კლასების 3429 ნორჩმა ქიმიკოსმა, რაიონულ და საქალაქო ტურში — 2283-მა, ზონალურში კი — 1693-მა. მათგან დასკვნით ტურში დაშვებული იქნა 181 მოსწავლე, რომელთაგან მონაწილეობა მიიღო 153-მა.

ოლიმპიადის შედეგებმა გვიჩვენა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა დაინტერესება ქიმიისადმი. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ამაღლდა ნორჩი ქიმიკოსების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონე, რასაც ხელი შეუწყო სკოლებში ქიმიური ექსპერიმენტის უფრო ფართოდ დანერგვამ.

ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის თეორიული და ექსპერიმენტული ტურები ორგანიზებულად, არსებული დებულების სრული შესაბამისობით ჩატარდა, მოსწავლეთა 60,7%-მა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნისა და ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოაჩინა. თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნობილ იქნა და სიგელით დაჯილდოვდა 56 მოსწავლე, ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის — 36,7%.

გარკვეული წარმატებით აღინიშნა საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა მე-19 საკავშირო ოლიმპიადაზე. გუნდის ორმა წევრმა მეოთხე ხარისხის დიპლომები და სპეციალური პრიზები დაიმსახურა.

ოლიმპიადის მომზადების, მონაწილეთა მიღებისა და გაცილების, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების, კვებისა და დასვენების ორგანიზაციის საქმეში გარკვეული მუშაობა გასწიეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ჯაში) და ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურმა სკოლა-ინტერნატმა (ამხ. კ. ცხადია), რამაც ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხის სათანადო დონეზე შესრულება განაპირობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კარგი მუშაობა (ამხ. ბ. მგელაძე), სადაც თეორიული ტური ჩატარდა და ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიისა და ორგანული ქიმიის კათედრები (კათედრის გამგეები, პროფესორები გ. ცინცაძე და გ. ჭირაქაძე), რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ლაბორატორიების მომზადებისათვის ექსპერიმენტული ტურის ჩასატარებლად.

უკეთესი შედეგები აჩვენეს თბილისის 1-ლი, მე-4, 23-ე, 29-ე, 42-ე, 51-ე, 53-ე, 55-ე, 64-ე, 116-ე, 161-ე, რუსთავის მე-10, მე-18, ჭიათურის მე-2, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურმა საშუალო სკოლა-ინტერნატმა, წულუკიძის რაიონის რუსულმა, გურჯაანის რაიონის 1-მა და სოფელ კარდანახის საშუალო სკოლებმა, რომელთა აღსაზრდელებმა, საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ სკოლების გარკვეული ნაწილი ზერელედ ეკიდება მოსწავლეთა კლასგარეშე და წრეობრივ მუშაობას, ნაკლებად ზრუნავს საგნით დაინტერესებული მოსწავლეების თეორიული და ექსპერიმენტული ცოდნის ამაღლებისა და ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის, სკოლებში მიზნობრივად არ არის გამოყენებული ფაკულტატიური კურსი საგნის გაღრმავებულად შესწავლისათვის.

კვლავ ადგილი აქვს სასკოლო, რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ ტურებზე მოსწავლეთა ნამუშევრების არაობიექტურად შეფასების შემთხვევებს, რაც ოლიმპიადაში მონაწილეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდას იწვევს, აფხაზეთის ზონის საორგანიზაციო კომიტეტმა ზონაში გამარჯვებულად 16 მოსწავლე ცნო, მათი ნამუშევრების გადამოწმების შედეგად კი რესპუბლიკურ ტურზე არც ერთი მოსწავლე არ იქნა დაშვებული, აჭარის ზონიდან შესაბამისად 16-დან დაშვებულ იქნა მხოლოდ 4, ახალქალაქის ზონიდან 14-დან — 5.

რიგი ზონების საორგანიზაციო კომიტეტები ნაკლებ კონტროლს უწევენ ტურის ჩატარების მიმდინარეობას, ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ამის შედეგად ხშირად რაიონებიდან გადმოგზავნილი ნამუშევრები სრულიად იდენტურია, ზოგჯერ კი არაობიექტურობას იჩენენ მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების საქმეში, ამ მიზეზების გამო მიმდინარე წელს ქულები ჩამოაკლდა 163 მოსწავლეს.

დასკვნით ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა გამოამჟღავნა სრული უცოდინარობა და ვერ გააბართლა ზონალურ ტურზე მიღებული მაღალი ქულები, დაბალი ქულები დაიმსახურეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ახალქალაქის ზონის მოსწავლეებმა, რაც იმის შედეგია, რომ ზონის ცენტრის განათლების განყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებები და საორგანიზაციო კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან არსებული დებულების შესაბამისად ტურის ჩატარებასა და ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადებას. ცუდი მაჩვენებლები აქვთ ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, მარნეულის, დმანისის, ყაზბეგის, თიანეთის, წითელწყაროს, ყვარლის, სიღნაღისა და მესტიის რაიონებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 56 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით — 1 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით — 8 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით — 47 მოსწავლე.

2. ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით დაჯილდოვდნენ თბილისის 23-ე საშუალო სკოლა და ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიისა და ორგანული ქიმიის კათედრები.

3. 1985—1986 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი, სასკოლო ტური ჩატარდეს 1985 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1986 წლის იანვარში, ზონალური — 1986 წლის 9 თებერვალს, დასკვნითი — 1985 წლის 24-25 მარტს (24 მარტს ჩატარდება თეორიული ტური, 25 მარტს— ექსპერიმენტული), სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ჩატარების თარიღებს განსაზღვრავენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები.

4. ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

თ. გ. ანდრონიკაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ზ. ა. ლომსიანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ა. გ. ზაქარიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ლ. რ. ჯაში — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოვალეობ-
ბის შემსრულებელი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

წევრები:

გ. ე. ცინცაძე — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

გ. გ. ჭირაქაძე — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ი. ტ. ბახტაძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის გამგე

მ. ი. გვერდწითელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი

ლ. გ. ეფრიკაშვილი — ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ა. ი. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ნ. ნ. ვეკუა — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. ა. თევზაძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის მეთოდისტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

მ. გ. კაპანაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის გამგე

ც. ა. გაგოშიძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

ჟ. გ. კემულარია — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. ვ. მაქაცარია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ნ. ა. ჩალაგაშვილი — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

მ. ი. გიგაური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. პ. ლოგუა — თბილისის საღამოს 28-ე საშუალო სკოლის დირექტორი

მ. ი. გოდერძიშვილი — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

გ. გ. შახნაზაროვი — თბილისის 63-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

ა. ბაქრაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე

ნ. ს. ბაღაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

4. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

4. 1. სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში;

4. 2. შეარჩიოს და კომიტეტის სხდომაზე დაამტკიცოს რესპუბლიკური ოლიმპიადის ჟიურის შემადგენლობა;

4. 3. ორგანიზაცია გაუკეთოს რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ჩატარებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1983 წელს დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინსტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ლ. ჯაში):

5. 1. 1985 წლის 1 ნოემბრამდე შეადგინოს და განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად წარმოადგინოს 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხარჯთაღრიცხვა;

5. 2. შეარჩიოს და მოამზადოს ობიექტები ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების ჩასატარებლად;

5. 3. მოაგვაროს ოლიმპიადის დასკვნითი ტურის მონაწილე მოსწავლეების მიღებისა და მომსახურების საკითხები.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

6. 1. უზრუნველყონ ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ქიმიის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე და საჭირო ღონისძიებების გატარება საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

6. 2. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას;

6. 3. მიაღწიონ იმას, რომ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გა-

იხსნას ქიმიის გაღრმავებული სწავლების სკოლები ან კლასები, უზრუნველყონ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცება და საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტება;

6. 4. გაზარდონ ქიმიის მასწავლებლების პასუხისმგებლობა ქიმიის ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში; მეტი მომთხოვნელობა წაუყენონ ამ მიმართებით მეთოდურ კაბინეტებს და ოლიმპიადის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) 1986 წლისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ქიმიის 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის საჭიროებისათვის გამოუყოს ბრძანების, დებულების, ამოცანებისა და სიგელების დასაბეჭდად: ტოპოგრაფიული ქაღალდი — 500 კგ; ცარცის ქაღალდი 240 გრამიანი — 70 ფურცელი.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1986 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ქიმიის 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

9. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებების შესრულების მიზნით კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებები სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. ერთი თვის ვადაში შეისწავლონ საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში არსებული მდგომარეობა, განიხილონ იგი კოლეგიებსა და საბჭოს სხდომებზე. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები;

1. 2. განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში შექმნან აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობები ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ყოველმხრივი განვითარებისა და აღზრდისათვის;

1. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საქმეს; აღმოუჩინონ მათ ყოველმხრივი დახმარება, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში საუკეთესო მუშაკების მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები;

1. 4. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. უზრუნველყონ აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულებები სატრანსპორტო საშუალებებით, დანადგარ-მოწყობილობებითა და ავეჯით;

— ფართოდ ჩაებან ამ საქმეში შეფი ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებით (დანართი 2);

— ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 30 დეკემბრამდე.

2. საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

2. 1. მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებები სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. განიხილონ ისინი პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მათ შესასრულებლად;

2. 2. შემოქმედებითად მიუდგნენ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სწავლებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს, სწავლებისა და აღზრდის უახლესი მეთოდების ფართოდ დანერგვის გზით მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულს, დისციპლინიანობასა და დამოუკიდებლობის ჩვევების ჩამოყალიბებას, გაუღვივონ მათ ინტერესი შრომითი პროფესიებისადმი;

2. 3. განახორციელონ ღონისძიებები საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

2. 4. ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომართაგების მთავარ სამმართველოს წარმოუდგინონ განაცხადები სამაცივრო და სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობების, ავეჯისა და სხვა ინვენტარის გამოსაყოფად;

2. 5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებით (დანართი 2) დამტკიცებულ შეფ ორგანიზაციებთან ერთად

ა/წლის 25 ივნისამდე შეიმუშაონ საშეფო დახმარების ღონისძიებანი გეგმა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაატაროს საჭირო ღონისძიებანი აღნიშნული დადგენილებებით გათვალისწინებული ახალი მოთხოვნების, სახალხო განათლების ორგანოებსა და შესაბამის საბავშვო დაწესებულებებამდე დადგენილ ვადებში დასაყვანად და მათი პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) დადგენილების შესაბამისად (დანართი 1) უზრუნველყოს რესპუბლიკაში საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და განახორციელოს მათი მშენებლობა დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მოქმედ შენობათა რეკონსტრუქციისათვის.

5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) დადგენილებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად უზრუნველყოს საბავშვო სახლები და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა სკოლა-ინტერნატები თანამედროვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარით, საწარმოო მოწყობილობებით, ავეჯითა და სხვა ინვენტარით.

— სისტემატური კონტროლი დააწესოს ინვენტარის ხარისხსა და მიწოდების ორგანიზაციაზე, გამოუყოს მათ ბამბისა და სხვა ქსოვილები (მზა ნაწარმის ნაცვლად), განსაზღვროს მარტივი ტიპის შეკერილი ნაწარმის ასორტიმენტი და მის შესაკერად საჭირო ქსოვილის რაოდენობა, რომლის შეკერვაც აღსაზრდელთა ძალებით მოხდება.

მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, საქართველოს სსრ სახმომარაგებასა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში წარსადგენად საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის სამაცივრო და სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის გამოყოფის მიზნით.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) მკაცრი კონტროლი დააწესოს საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატების პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრებით კომპლექტებაზე; არ დაუშვას აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში არასათანადო კვალიფიკაციის მქონე პირთა დანიშვნის არც ერთი ფაქტი.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე):

7. 1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე; განამტკიცოს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადააქციოს ისინი რაც შეიძლება დიდი საზოგადოებრივი ყურადღებისა და საყოველთაო ზრუნვის ობიექტად;

7. 2. განუწყვეტლივ სრულყოს ობოლ და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა იდეურ-პოლიტიკური ,შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების არსებული ფორმები და მეთოდები.

— ჩამოუყალიბოს აღსაზრდელებს მაღალი მორალური თვისებების, დისციპლინიანობის, დამოუკიდებლობის უნარ-ჩვევები;

— შექმნას ინტერნატულ დაწესებულებებში ოპტიმალური პირობები ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ცხოვრებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის;

— გაატაროს სათანადო ღონისძიებები ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა გამოვლენის, მათდამი მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების მიზნით;

7. 3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად, დადგენილებების შესაბამისად დასახოს სათანადო ღონისძიებები და გააძლიეროს კონტროლი ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კვების, სამედიცინო მომსახურების, ფიზიკური აღზრდისა და დასვენების ორგანიზაციისადმი.

8. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) უახლესი მიღწევების გათვალისწინებით შეიმუშაოს სამეცნიერო-მეთოდიკური რეკომენდაციები საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელთა ცხოვრების, აღზრდისა და საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ.

9. გაზეთმა „სახალხო განათლება“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრება“ (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები საბავშვო სახლების და სკოლა-ინტერნატების მუშაობისა და მოწინავე პედაგოგ-აღმზრდელთა საქმიანობის შესახებ.

10. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, ხოლო კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 24 ივნისის გრძანება № 386

ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებებს „ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 333

1985 წლის 30 აპრილი
ქ. თბილისი

ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილება „ჩვილ ბავშვთა სახლებში, ს-საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად განახორციელონ ღონისძიებანი ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კომუნისტური აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, ამასთან მთელი ეს მუშაობა წარმართონ ლენინის ანდერძის „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“ შემდგომი განხორციელებისათვის.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ იაჩრობის სამინისტრომ წლიური გეგმების პროექტების ფორმირებისას განიხილონ ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის სამაცივრო და საიაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის, აივჯისა და სხვა ინვენტარის გამოყოფის საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების თანახმად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ავტოკავშირის გამგეობამ უზრუნველყონ ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შეუფერხებელი მომარაგება ავტების პროდუქტებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილებით დამტკიცებული უზრუნველყოფის ნორმების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განამტკიცონ 1990 წლამდე პერიოდში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების პროექტებში კაპიტალურ დაბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათა ლიმიტები მათთვის ახალი შენობების, მინაშენების ასაგებად, აგრეთვე ამ დაწესებულებების მოქმედ შენობათა რეკონსტრუქციისათვის.

დამტკიცდეს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 1986—1990 წლებში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი, № 1 დანართის თანახმად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ორი თვის ვადაში გამოარკვიონ თითოეულ ჩვილ ბავშვთა სახლში, საბავშვო სახლსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში არსებული მდგომარეობა, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ამ დაწესებულებათა მუშაობას, გადააქციონ ისინი რაც შეიძლება დიდი საზოგადოებრივი ყურადღებისა და საყოველთაო ზრუნვის ობიექტად.

მიუჩინონ თითოეულ ჩვილ ბავშვთა სახლს, საბავშვო სახლსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლ-ინტერნატს შეფი საწარმოები და ორგანიზაციები, ამასთან ნება დართონ მათ განახორციელონ ამ დაწესებულებათა შენობების, დასასვენებელი ბაზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესით, № 2 დანართის თანახმად.

7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა უზრუნველყონ შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობა ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებთან მუშაობაში, მოაწყონ მათთვის საშეფო სპექტაკლები, სალამოები, შეხვედრები, მხატვრული შემოქმედების მეცადინეობანი, უსასყიდლოდ გადასცენ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, სურათები, წიგნები, მუსიკალური ჩანაწერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს რესპუბლიკის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლ-ინტერნატების შენახვისათვის საჭირო ასიგნებანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების საფუძველზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილების დანართი 1

დავალება

1985—1990 წლებში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მშენებლობის, საექსპლუატაციოდ გადაცემისა და რეკონსტრუქციისათვის

ობიექტების დასახელება	სიმძლავრე	შესრულების ვადა (წლებში)	
		საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისათვის	მშენებლობისათვის
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო			
საბავშვო სახლების მშენებლობა			
დაბა ლენინგორში	100	1985	1986—1987
№ 4 გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში	100	1986	1987—1989
სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში	100	1985	1985—1987
ქალაქ თბილისში	200	1987	1988—1990
სკოლა-ინტერნატის მშენებლობა			
აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში	300	1985	1985—1987
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო			
ჩვილ ბავშვთა სახლის მშენებლობა ქალაქ თბილისში	400	1986	1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომი-
ტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333
დადგენილების დანართი 2

დანართი

საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის შეფი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიჩენისა

საბავშვო დაწესებულებათა დასახელება	შეფი ორგანიზაციების, საწარმოების დასახელება
1	2
ასპინძის საბავშვო სახლი	საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ასპინძის სატყეო მეურნეობა
ბათუმის საბავშვო სახლი	სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ბათუმმრეწვვაჭრობა მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანის“ ბათუმის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა
სურამის საბავშვო სახლი (ხაშურის რაიონი)	მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანა“ მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანა“
რუსთავის საბავშვო სახლი	რუსთავის მეტალურგიული ქარხანა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2
ქურთის საბავშვო სახლი (ცხინვალის რაიონი)	საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალის რაიონი)
კოჯრის № 1 საბავშვო სახლი (გარდაბნის რაიონი)	ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ № 3 სამშენებლო სამმართველო (გურჯაანის რაიონი)
კოჯრის № 2 საბავშვო სახლი (გარდაბნის რაიონი)	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილპური“ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტის № 27 მოძრავი მექანიზებული კოლონა და № 58 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა
კოჯრის № 4 საბავშვო სახლი (გარდაბნის რაიონი)	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილლუდი“ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტი
ლენინგორის საბავშვო სახლი	საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ლენინგორის სატყეო მეურნეობა საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს ლენინგორის დამზადების კანტორა
მახინჯაურის საბავშვო სახლი	საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სალიბაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა (ხელვაჩაურის რაიონი) ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2
ეწრის საბავშვო სახლი (სამტრედიის რაიონი)	ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სალოკომოტივო დეპო ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სამოქალაქო ნაგებობათა დისტანცია
კარდანახის საბავშვო სახლი (გურჯაანის რაიონი)	საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 24 ტრესტი (გურჯაანი)
თბილისის საბავშვო სახლი	საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტნაგებობათა სამშენებლო-სარემონტო სამმართველო
ყაზბეგის საბავშვო სახლი	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერი“ საქმთავარენერგოს ყაზბეგის ელექტროქსელების საწარმო
მარტყოფის ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი (გარდაბნის რაიონი)	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2
	საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
თელავის ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი	საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თელავის სამკერვალო და წინდის ფაბრიკები
	საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალსაშენმასალების“ თელავის სარემონტო-მექანიკური ქარხანა
თეთრი წყაროს ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი	საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ ალგეთის № 5 სამშენებლო სამმართველო
	საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თეთრი წყაროს მრეწველკომბინატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 35
1985 წლის 24 იანვარი
მოსკოვი, კრემლი

ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად განახორციელონ ღონისძიებანი ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კომუნისტური აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. მთელი ეს მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს საბჭოური ცხოვრების წესის თვით ბუნებაში ჩაქსოვილი სოციალური სამართლიანობის იდეას, ლენინის ანდერძის „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“ შემდგომ განხორციელებას.

2. საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების პედაგოგიური კოლექტივების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის განუწყვეტელი სრულყოფა, თითოეული აღსზარდელისათვის მაღალი მორალური თვისებების, დისციპლინიანობის, დამოუკიდებლობის, ქცევის კულტურის ჩამოყალიბება. შექმნან ინტერნატულ დაწესებულებებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ცხოვრებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათ მიერ საშუალო განათლების ეროვნულად მიღებისათვის, შრომისა და პროფესიის ასარჩევად საჭირო მომზადებისათვის ოპტიმალური პირობები, ყურადღებითა და ზრუნვით მოიცვან თითოეული აღსაზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაონ 1985 წელს სამეცნიერო-მეთოდიკური რეკომენდაციები საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელთა ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე ჩვილ ბავშვთა სახლებში ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის ერთიანი პროგრამა პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მედიცინისა და ადამიანის შემსწავლელ სხვა მეცნიერებათა დარგში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია, ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების რეორგანიზაცია ასეთ ბავშვთა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებად I-XI (XII) კლასების შემადგენლობით, ამასთან ამ საკითხების გადაწყვეტის უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს.

3. ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

ა) გადიდდეს 1985 წლის 1 იანვრიდან ჩვილ ბავშვთა სახლებში კვების ხარჯების ნორმა 1 მანეთი და 13 კაპიკამდე ერთ ბავშვზე დღეში (II სავაჭრო სარტყელი) და ჩვილ ბავშვთა სახლების მოქმედი ქსელისათვის რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯების ნორმა 200 მანეთამდე ერთ საწოლზე წელიწადში;

ბ) დამტკიცდეს ჩვილ ბავშვთა სახლებში ბავშვთა კვების ნორმები, № 1 დანართის თანახმად, და ჩვილ ბავშვთა სახლებში ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის ტაბულა, № 2 დანართის თანახმად;

გ) გადიდდეს ჩვილ ბავშვთა სახლებისათვის მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და სათამაშოების შეძენის ხარჯების ნორმა 80 მანეთამდე ერთ ადგილზე წელიწადში;

დ) დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა, აგრეთვე საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის გადიდებული ნორმები, № 3 დანართის თანახმად. დაწესდეს ამ მიზნით ხარჯების ნორმა —210 მანეთი ერთ აღსაზრდელზე წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ წლიური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ, მოყოლებული 1985 წლიდან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და რბილი ინვენტარის ფონდების გამოყოფა, ამ დადგენილებით დამტკიცებული უზრუნველყოფის ნორმების შესაბამისად.

ნება დაერთოთ ჩვილ ბავშვთა სახლებს, საბავშვო სახლებსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს შეიძინონ მიმდინარე საჭიროებისათვის საცალო სავაჭრო ქსელში უნაღდო ანგარიშსწორებით წვრილი ბითუმის ლიმიტში ჩაუთვლელად შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ქუდები, ფეხსაცმელი, თეთრი ქაღალდის საქონელი, სინთეზური სარეცხი საშუალებანი, ჩვეულებრივი ზეთისა და ემალის საღებავები და თეთრა, საკანცელარიო და საგალანტერიო საქონელი, მხატვრული ლიტერატურა, პირველი მოთხოვნილების არასასურსათო საქონელი, ამასთან გაყიდვის მოცულობა შეტანილ იქნას საცალო საქონელბრუნვაში.

დაწესდეს, რომ საბავშვო სახლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებს ასევე შეუძლიათ შეიძინონ ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საცალო სავაჭრო ქსელში უხაღდო ანგარიშსწორებით წვრილი ბითუმის ლიმიტში ჩაუთვლელად ქსოვილები აღსაზრდელთა ძალებით ტანსაცმლის შესაკერად ან ინდივიდუალური კერვის ატელიეებში ამ ტანსაცმლის შესაკეთად ტანსაცმლის შეძენისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ამასთან შეტანილ იქნას ეს ქსოვილები საცალო საქონელბრუნვაში;

ე) სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შემოიღოს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების საერთო საცხოვრებელთა მოწყობილობის შესაძენად ასიგნებათა ახალი ნორმატივები.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტებში ასიგნებათა გადიდება 30%ით ზემოაღნიშნული ინტერნატული დაწესებულებებისათვის მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარის, სათამაშოების, ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენად, თამაშობებისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად;

ვ) ნება დაერთოთ საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გადასცენ უსასყიდლოდ ჩვილ ბავშვთა სახლებს, საბავშვო სახლებსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებს გამართული ტრანსპორტი და საცხოვრებელი და სხვა სადგომებისათვის საჭირო მოწყობილობა

ისე, რომ არ შეატყობინონ ზემდგომ ორგანოებსა და სხვ. კავშირებული
სახმომარაგების სისტემის ტერიტორიულ ორგანოებს ან სამინისტრო-
ოა და უწყებათა გასაღების ორგანოებს, რომლებსაც ეკისრებათ შესა-
ბამის მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწი-
ნონ გეგმებში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და სკო-
ლა-ინტერნატებისათვის სამაცივრო და სავაჭრო-ტექნოლოგიური მო-
წყობილობის გამოყოფა.

4. დაწესდეს მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი ბავშვები-
სათვის ფულადი დახმარება თვეში 30 მანეთის ოდენობით ერთ ბავშვზე.

დახმარება ინიშნება, თუ ასეთი ბავშვისათვის მიღებული დახმა-
რების (მათ შორის დახმარებისა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის კანონმდებლობის შესაბამისად ეძლევათ მეურვეობაში ან მზრუნ-
ველობაში მყოფ ბავშვებს), ალიმენტებისა და პენსიების ოდენობა არ
აღემატება 30 მანეთს თვეში. ამასთან წინათ დანიშნული დახმარება და
პენსიები არ მიეცემათ.

მიეცეთ აგრეთვე მეურვეებს (მზრუნველებს) იმ ბავშვებისათვის
დანიშნული პენსიები და დახმარება, რომლებიც იმყოფებიან ზოგად-
საგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში სრულ სახელმწიფო უზრუნ-
ველყოფაზე.

5. ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავ-
შვთა მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად გაუდიდ-
დეთ სტიპენდიის ოდენობა:

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სრულ სახელმწიფო უზ-
რუნველყოფაზე ჩარიცხულ მოსწავლეებს — 20 მანეთამდე თვეში;

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს საბავშვო სახლების აღ-
საზრდელთა, მზრუნველობაში მყოფ პირთა, აგრეთვე ობოლ ბავშვთა
და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატე-
ბის ყოფილ აღსაზრდელთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებ-
ლების მოსწავლეთა რიცხვიდან — 20 მანეთით თვეში.

ნება დაერთოთ მიიღონ უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგა-
რეშე ობოლი ბავშვები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული
ბავშვები საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა
და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვიდან.

გაუდიდდეთ 50 მანეთამდე ფულადი დახმარება, რომელიც ეძლე-
ვათ ხელზე თავდაპირველი ხარჯებისათვის საბავშვო სახლების აღსა-
ზრდელებს, ობოლ ბავშვებსა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ
ბავშვებს სასწავლებლებში ან შრომითი მოწყობისათვის გაგზავნისას.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაცი-
ებმა, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების,

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელებმა გამოიჩინონ მუდმივი ზრუნვა ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების — საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ყოფილი აღზრდილების მიმართ, მიუჩინონ მათ დამრიგებლები შრომის ვეტერანთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა რიცხვიდან, აქტიურად ჩააბან ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეუქმნან პროფესიული და კულტურული ზრდის პირობები, გაუმჯობესონ მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

6. ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დროულად გამოვლენის, მათდამი მეურვეობის, მზრუნველობის დაწესების, მათი შვილად აყვანის ან ინტერნატულ დაწესებულებებში მოწყობის, მშრომელთა ოჯახებში მათი ცხოვრებისა და აღზრდის პირობებისადმი კონტროლის განხორციელების, აგრეთვე იმ ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, რომელთაც ჰყავთ მშობლები, მაგრამ ესაჭიროებათ სახელმწიფოს დახმარება, ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შემოიღონ სახალხო განათლების განყოფილებათა შტატებში იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, ბავშვთა დაცვის დარგში სკოლების ინსპექტორის თანამდებობა მმართველობის აპარატის მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ფარგლებში.

7. ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ და სამედიცინო მუშაკთა შრომის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და პირობების გაუმჯობესების მიზნით:

ა) გადიდდეს 1985 წლის 1 სექტემბრიდან საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სამედიცინო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და მომსახურე პერსონალის, აგრეთვე ჩვილ ბავშვთა სახლების მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები საშუალოდ 20 პროცენტით, გარდა იმ მუშაკებისა, რომელთაც სარგოები (განაკვეთები) გაუდიდდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 318 დადგენილების შესაბამისად.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაამტკიცონ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ნუსხა იმ ინტერნატული დაწესებულებების მუშაკთა კატეგორიებისა, რომელთაც აქვთ ზემოაღნიშნული სარგოების გადიდების უფლება.

საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დანარჩენ მუშაკთათვის, აგრეთვე ჩვილ ბავშვთა სახლების მუშაკთათვის ზემოაღნიშნული

დადგენილებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების პირობები შემოღებულ იქნას 1985 წლის 1 სექტემბრიდან, ნაცვლად 1987 წლის 1 სექტემბრისა, როგორც დაწესებული იყო ამ დადგენილებით:

ბ) ნება დაერთოთ მისცენ მოხუცებულობის პენსიები 100 პროცენტის ოდენობით თვეში 300 მანეთის ფარგლებში ხელფასთან ერთად ქალაქებში, ქალაქების ტიპის დაბებში (მუშათა დაბებში) და სოფლად განლაგებული საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს სასწავლო (სასწავლო-აღმზრდელობითი) მუშაობის დარგში, მასწავლებლებს, უფროს აღმზრდელებს, აღმზრდელებს, უფროს პიონერხელმძღვანელებს, სამედიცინო მუშაკებს, აგრეთვე ამ დასახლებულ პუნქტებში და სოფლად განლაგებულ ჩვილ ბავშვთა სახლების პედაგოგიურ მუშაკებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 სექტემბრის № 862 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1979 წ., № 24, მუხ. 154). 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცით განსაზღვრული მოქმედების ვადის გათვალისწინებით;

გ) სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა უფასოდ მისცენ სოფლად და ქალაქების ტიპის დაბებში (მუშათა დაბებში) განლაგებულ საბავშვო სახლებისა და ჩვილ ბავშვთა სახლების პედაგოგიურ, სამედიცინო და ხელმძღვანელ მუშაკებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს გათბობითა და განათებით უზრუნველყოფილი ბინები მოცემულ ადგილზე მოქმედი ნორმების მიხედვით.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ბინების უქონლობისას სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ უშუალოდ აღნიშნული მუშაკებისათვის ბინების დაქირავების ხელშეკრულებათა დადება და მათი უზრუნველყოფა განათებითა და სათბობით მოცემულ ადგილზე მოქმედი ნორმების მიხედვით და სათბობის მიტანა ბინაზე არა უგვიანეს 1 სექტემბრისა წლიური მოთხოვნილების ოდენობით.

კომუნალური მომსახურებისათვის დაწესებული შეღავათები შეუნარჩუნდეთ საბავშვო სახლებისა და ჩვილ ბავშვთა სახლების პენსიაზე გადასულ პედაგოგიურ, სამედიცინო და ხელმძღვანელ მუშაკებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს, თუ სოფლად და ქალაქის ტიპის დაბებში (მუშათა დაბებში) განლაგებულ საბავშვო სახლებში თითოეული ზემოაღნიშნული მუშაკის მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს არანაკლებ 10 წელს;

დ) დაუწესდეთ საბავშვო სახლების დირექტორებს, მათს მოადგილეებს სასწავლო (სასწავლო-აღმზრდელობითი) მუშაობის დარგში, საბავშვო სახლების აღმზრდელებსა და უფროს პიონერხელმძღვანელებს შვებულება 48 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა კომიტეტებმა გამოიჩინონ მუდმივი ზრუნვა ინტერნატულ დაწესებულებათა პედაგოგიური და სამედიცინო კადრების მიმართ, ყურადღებით მოეკიდონ მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, გამონახონ მათთვის საცხოვრებელი ფართობის პირველ რიგში მიცემის შესაძლებლობა, პრაქტიკაში შემოიღონ ამ დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკებისა და კოლექტივების მორალური და მატერიალური წახალისება.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განამტკიცონ 1990 წლამდე პერიოდში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების პროექტებში მათთვის ახალი შენობების ასაგებად, აგრეთვე ამ დაწესებულებათა მოქმედ შენობებზე მინაშენების ასაგებად კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები.

დამტკიცდეს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე 1986—1990 წლებში ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებანი, № 4 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1985—1986 წლებში:

საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების შენობათა ტიპობრივი პროექტები ქვეყნის ყველა ბუნებრივ-კლიმატური ზონისათვის, რაც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფს აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო პირობებს;

საბავშვო სახლების, ჩვილ ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის მოწყობილობისა და ინვენტარის დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულები.

9. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა ორი თვის ვადაში გამოარკვიონ თითოეულ ჩვილ ბავშვთა სახლში, საბავშვო სახლსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში არსებული მდგომარეობა, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ამ დაწესებულებათა მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობას, გადააქციონ ისინი რაც შეიძლება დიდი საზოგადოებრივი ყურადღებისა და საყოველთაო ზრუნვის ობიექტად.

მიუჩინონ თითოეულ ჩვილ ბავშვთა სახლს, საბავშვო სახლსა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლ-ინტერნატს შეფი საწარმოები და ორგანიზაციები, ამასთან ნება დართონ მათ განახორციელონ ამ დაწესებულებათა შენობების, დასასვენებელი ბაზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესით.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა უზრუნველყონ შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობა ამ დაწესებულებათა აღსაზრდელებთან მუშაობაში, მოაწყონ მათთვის საშეფო სპექტაკლები, საღამოები, შეხვედრები, მხატვრული შემოქმედების მეცადინეობანი, უსასყიდლოდ გადასცენ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ფურცლები, წიგნები, მუსიკალური ჩანაწერები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშაონ და შემოიღონ სამოქმედოდ 1986 წლის 1 იანვრიდან საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის დღისით სტადიონებით, აუზებით, საციგურაოებითა და სხვა სპორტული ნაგებობებით უფასოდ სარგებლობის, კინოფილმების. მათ შორის მხატვრული კინოფილმების უფასოდ ნახვის, პიონერთა ბანაკებში უფასო საგზურების გამოყოფის წესები.

10. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გააძლიეროს მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პასუხისმგებლობა საბავშვო ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთა აღზრდის, ცხოვრებისა და შრომისათვის მომზადების გაუმჯობესების საქმეში.

სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად განსაზღვროს თითოეული საბავშვო სახლისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, გაგზავნოს ამ დაწესებულებებში საზოგადოებრივ აღმზრდელებად სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესო ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, სტუდენტები, მიუჩინოს დამრიგებლები თითოეულ პედაგოგიურად ხელმიშვებულ, დიდი ხნით სწავლას მოწყვეტილ ბავშვებს.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად მოაწყოს საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების საკავშირო დათვალიერებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს სკოლის, კულტურის დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ღონისძიებათა გაერთიანება ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდის დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში.

11. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა აქტიურად დაამუშაონ ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების პირობებში ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების მეთოდები, გააფართოონ გამოკვლევები ბავშვთა კოლექტივის ჩამოყალიბებისა და მისი იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქციების ამაღლების პრობლემებზე; უფრო სრულად გამოიყენონ ამ მიზნით ნ. კ. კრუპსკაიას, ა. ს. მაკარენკოსა და სახალხო განათლების სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა იდეური მემკვიდრეობა.

12. სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა მკაფიოდ გააშუქონ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური ზრუნვა ბედნიერი ბავშვობისათვის, ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სოციალური მნიშვნელობა ბავშვთა და მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვაში, მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის, ბავშვთა აღზრდისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს. გამომცემლობებმა „მედიცინამ“, „პედაგოგიკამ“ და „პროსვეშჩენიემ“ მოამზადონ და გამოსცენ 1986—1990 წლებში წიგნების სერია საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის საბავშვო ინტერნატულ დაწესებულებათა მუშაობის პრობლემებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი კ. ჩერნენკო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო რ მ ე ბ ი

ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვთა კვებისა

	1 ბავშვზე დღეში (გრამი)
ხორბლის პური	70
ჭვავის პური	30
ხორბლის ფქვილი	16
კარტოფილის ფქვილი	3
ბურღული, პარკოსნები, მაკარონის ნაწარმი	35
კარტოფილი	150
სხვადასხვა ბოსტნეული	300
ახალი ხილი	250
ხმელი ხილი	15
ხილის წვენი	50
საკონდიტრო ნაწარმი	10
შაქარი	50
კარაქი	30
მცენარეული ზეთი	6
კვერცხი (ცალი)	1
რძე	700
ხაჭო	50
ხორცი	120
თევზი	25
არაჟანი	20
ყველი	10
ჩაი	0,2
ყავის სასმელი	1
მარილი	5
საფუარი	1

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქრონიკული დიზენტერიით, ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებისათვის, დასუსტებული ბავშვებისათვის, აგრეთვე იზოლატორში მოთავსებული ავადმყოფი ბავშვებისათვის შენარჩუნებულია 15-პროცენტიანი დანამატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილების დანართი 2

ტაგელი

ჩვილ ბავშვთა სახლებში ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფისა

რბილი ინვენტარის დასახელება	1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის		1-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის		2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის	
	საგნების რაოდენ. 1 საწოლზე (ცალი)	გამოსადგომის ვადა (წელი)	საგნების რაოდენ. 1 საწოლზე (ცალი)	გამოსადგომის ვადა (წელი)	საგნების რაოდენ. 1 საწოლზე (ცალი)	გამოსადგომის ვადა (წელი)
1	2	3	4	5	6	7
საცვალი და ლოგინის თეთრეული						
ქვედა პერანგი, მაისური, ჩახსნილი პერანგი	25	3	10	3	10	3
ქვედა კოფთა, პიჟამო,, ღამის პერანგი	12	3	15	3	6	2
საცოცავი, ტრუსი, ტრიკო (თბილი)	40	3	40	3	10	2
საცოცავი, ტრუსი, ტრიკო (საზაფხულო)	30	3	30	3	10	2
ბავშვის ზეწარი	7	3	8	4	8	4
ბავშვის სახვევი (საზაფხულო)	130	3	50	3	10	2
ბავშვის სახვევი (თბილი)	30	4	10	4	—	—
ბავშვის საბნის შალითა (კონვერტი)	8	3	8	4	5	4

1	2	3	4	5	6	7
ზედა ბალიშისპირი	7	3	7	3	5	3
ქვედა ბალიშისპირი	1,5	2	1,5	2	1,5	2
ლეიბის ბალიშისპირი	—	—	1,5	3	1,5	3
ბავშვის პირსახოცი	4	2	8	3	8	3
თავსაფარი, ჩაჩი	5	3	5	3	5	3
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი						
თბილი კოსტიუმი (კაბა)	—	—	6	3	6	3
საზაფხულო კოსტიუმი (კაბა)	—	—	8	3	8	3
ტრიკოტაჟის საწვრთნელი კოსტიუმი	—	—	—	—	2	2
წინსაფარი	—	—	3	2	3	2
წინდა გოლფი	5	1	10	1	10	1
კოლგოტი	—	—	20	1,5	12	1
ნაქსოვი შალის (შალნარევი) სვიტრი	1,5	3	2	4	2	4
ჟაკეტი, კოფთა	—	—	2	2	2	2
რვიტუზი	—	—	—	—	1	2
ულტობი ქურთუკი (ლაბადა)	—	—	1	2	1	2
დემისეზონის პალტო	—	—	1	2	1	2
ზამთრის პალტო	—	—	3	3	3	3
საზაფხულო ქუდი (პანამა, პილოტურა)	—	—	1	3	1	3
ბავშვის ბეწვის ქუდი	1,5	2	1,5	2	2	2
ნაქსოვი შალის ქუდი	—	—	1	2	1	2
შარფი, კაშნე	—	—	2	2	3	3
ხელთათმანი	4	2	3	1,5	3	1,5
შალის წინდა						

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7
ტუფლი	—	—	2	1	2	0,5
ყელიანი ფეხსაცმელი	1	1	1	1	1	1
დაბთუნებული ყელიანი ფეხსაცმელი, ჩექმა	—	—	1	2	1	1
ნაბდის ჩექმა	—	—	1	3	1	3
ნაბდის ჩექმის კალოში	—	—	1	3	1	3
რეზინის ჩექმა	—	—	1	3	1	2
სადღესასწაულო თბილი კოსტიუმი (კაბა)	—	—	1	2	1	2
სადღესასწაულო საზაფხულო კოსტიუმი (კაბა)	—	—	1	2	1	2
აბრეშუმის, კაპრონის ბაფთი (მეტრი)	—	—	2	2	2	2
სადღესასწაულო ფეხსაცმელი (ჩეხური და სხვა)	—	—	1	—	—	1
ლოგინ-ქვეშაგები და სხვა საგნები						
ბავშვის ლეიბი	2	3	1,25	3	1,25	3
ბავშვის თბილი ბამბის საბანი	2	3	1,5	3	1,1	3
ბავშვის შალის, შალნარევი საბანი	1,25	5	1,25	5	1,1	5
ბავშვის ბაიკის საბანი	2,5	3	1,5	3	1,25	3
ბავშვის ქსოვილის საბანი	1	5	1	5	1	5
ბალიში	2	4	1,5	4	1,5	4
საძილე ტომარა	1	4	1	4	1	4
მკვრივი ქსოვილის სანივთე ჩანთა	0,5	4	0,5	4	0,5	4
ლოგინთან დასადები ტომარა	2	4	2	4	2	4
ბურჭლის ტილო	0,25	1	0,25	1	0,25	1
ცხვირსახოცი (ხელსახოცი)	10	1	10	1	10	1
ხალათები მომსვლელთათვის	1	3	1	3	1	3
ბახილები მომსვლელთათვის	1	3	1	3	1	3

Ш е н и ш в н а: ჩვილ ბავშვთა სახლების მთავარ ექიმებს უფლება ეძლევათ შეიტანონ ცალკეული ცელილებანი ჩვილ ბავშვთა სახლებში ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით ბავშვთა უზრუნველყოფის ტაბელში ერთ ბავშვზე მათი სრული კომპლექტის ღირებულების ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა, აგრეთვე საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფისათვის

ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და რბილი ინვენტარის დასახელება	ზომის ერთეული	სასკოლო ასაკის ერთ აღსაზრდელზე		სკოლამდელი ასაკის ერთ აღსაზრდელზე	
		რაოდენობა	ტარების ვადა (წელი)	რაოდენობა	ტარების ვადა (წელი)
1	2	3	4	5	6
ზამთრის პალტო	ცალი	1	2	—	—
ზამთრის პალტო, ქურქი	„	—	—	1	2
დემისეზონის პალტო, ქურთუკი	„	1	2	1	2
სასკოლო ფორმა	კომპლექტი	1	2	—	—
პიონერული ფორმა	„	1	2	—	—
პიონერის ყელსახვევი	ცალი	2	1	—	—
საზეიმო ბამბის პიონერული ფორმა	კომპლექტი	1	2	—	—
ბიჭის სასკოლო თეთრი ბამბის პერანგი	ცალი	2	2	—	—
გოგონას ფორმის კაბის წინსაფარი					
შავი	ცალი	1	2	—	—
თეთრი	„	1	2	—	—
სპორტული ფორმა და კედები	კომპლექტი	2	2	—	—
ბიჭის ბამბის კოსტიუმი	„	3	2	3	1
გოგონას ბამბის კაბა (ქვეღატანი, ბლუზა)	ცალი	3	2	3	1
გოგონას საშინაო ხალათი	„	1	2	1	2
ბიჭის ბამბის ზედა პერანგი	ცალი	3	2	3	1
შალის კაბა (საღღესასწაულო)	„	1	2	1	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6
შალის კოსტიუმი (სადღესასწაულო)	კომპლექტი	1	2	1	1
შალის სვიტერი (ჯემპრი)	ცალი	1	2	1	1
საზაფხულო კაბა (სადღესასწაულო)	„	1	2	1	2
გოგონას რეიტუზი	„	2	1	2	1
საზაფხულო ქუდი	„	1	1	1	1
საზამთრო ქუდი	„	1	2	1	2
საყვლო	„	3	1	—	—
ცხვირსახოცი	„	4	1	4	1
ბიჭის შარვლის ქამარი	„	1	1	—	—
შალნარევი შარფი	„	1	2	1	2
ხელთათმანი	წყვილი	2	1	2	1
საცვალი	კომპლექტი	4	2	5	2
გოგონას ქამარი	ცალი	1	1	—	—
გოგონას ლიფი (სკოლამდელ განყოფილებაში — ბიჭებისათვისაც	„	3	1	2	1
გოგონას ტრიკო	„	5	1	5	1
სატინის სპორტული ტრუსი	„	2	1	3	1
მაისური	„	3	1	2	1
ბამბის წინდა, გოლფი	წყვილი	5	1	6	1
შალის წინდა, გოლფი	„	2	1	2	1
ტყავის ან ტყავიმიტის ლანჩიანი ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი (ტუფლი, სანდლები)	წყვილი	2	8 თვე	2	8 თვე
ჩუსტი	წყვილი	2	1	2	1
ნაბდის ჩექმა ან დათბუნებული ფეხსაცმელი	წყვილი	1	2	1	2
რეზინის ჩექმა	„	1	2	1	2
კალოში	„	—	—	1	2
სათხილამურო კოსტიუმი	ცალი	1	3	1	2
ლამის პერანგი, პიჟამო	„	2	2	2	1
კოლგოტი	„	3	1	4	1
წინსაფარი, გულსაფარი სკოლამდელთა-თვის	„	—	—	1	1
საქვიშარი, საბანაო კოსტიუმი საბანაო ტრუსი	„	1	2	1	1
საბუშაო ტანსაცმელი	კომპლექტი	1	2	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	
სპეციალური ტანსაცმელი	„	1	1	—	—
რბილი ინვენტარი					
ზეწარი	ცალი	3	2	5	2
საბნის შალითა	„	2	3	3	3
ქვედა ბალიშისპირი	„	1	4	1	4
ზედა ბალიშისპირი	„	3	2	3	2
პირსახოცი	„	3	2	3	2
ფოჩიანი პირსახოცი	„	3	3	3	2
შალის ან ბამბის საბანი	„	1	6	1	6
ბაიკის საბანი	„	1	4	1	4
ლეიბი	„	1	6	1	5
ბუმბულის ბალიში	„	1	10	1	10
ლოგინის გადასაფარებელი	„	1	6	1	6

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. ამ დანართით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით უზრუნველყოფილია საბავშვო სახლების ყველა აღსაზრდელი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებს უფლება ეძლევათ შეიტანონ ცალკეული ცვლილებანი უზრუნველყოფის ნორმებში ერთ აღსაზრდელზე ფორმის ტანსაცმლის სრული კომპლექტის ღირებულების ფარგლებში.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელები ზამთრის პალტოებით, ფეხსაცმლითა და ქუდებით უზრუნველყოფილი არიან იმ ოლქებსა და რაიონებში, რომელთა სიებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

4. იმ რაიონებში, სადაც ზამთრის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გაცემა გათვალისწინებული არაა, პალტო ეძლევათ 1 წლით, ხოლო ყელიანი ტყავის ფეხსაცმელი (ტუფლი) — 7 თვით.

უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში ზამთრის პალტოს ტარების ვადაა 2 წელი, ხოლო ნაბდის ჩექმის ან დათბუნებული ზამთრის ყელიანი ფეხსაცმლისა — 1 წელი. რსფსრ მინისტრთა საბჭოს უფლება მიენიჭა ნება დაერთოს მიეცეთ აღსაზრდელებს ბეწვიანი პალტო და ფეხსაცმელი შალის პალტოსა და ნაბდის ჩექმის ნაცვლად. ბეწვიანი პალტოს ვადაა 3 წელი და ბეწვიანი ფეხსაცმლისა — 1 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილების დანართი 4

დავალება

1986—1990 წლებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისა

ათასი ადგილი

	ჩვილ ბავშვთა სახლები	საბავშვო სახლები	ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები
სულ სსრ კავშირში	21,16	35,14	15,88
მათ შორის:			
რუსეთის სფსრ	17	24,4	7,2
უკრაინის სსრ	—	0,45	1,28
ბელორუსიის სსრ	0.2	1,8	1,3
უზბეკეთის სსრ	0,9	3,48	0,8
ყაზახეთის სსრ	0,9	1,6	2.25
საქართველოს სსრ	0,4	0,6	0,2
აზერბაიჯანის სსრ	0,2	0,6	0,6
ლიტვის სსრ	0,36	0,35	1,1
მოლდავეთის სსრ	—	0,16	0,45
ლატვიის სსრ	0,3	0,2	—
ყირგიზეთის სსრ	—	0,3	0,3
ტაჯიკეთის სსრ	0,3	0,3	0,3
თურქმენეთის სსრ	0,3	0,4	—
ესტონეთის სსრ	0,3	0,5	0,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის მიზნით დამტკიცდეს კომისია (დანართი), რომელმაც მოისმინოს ინფორმაციები ადგილებიდან აღნიშნულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათი ცხოვრებაში განუხრელად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

— მიიღონ აღნიშნული დადგენილებები სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. განიხილონ ისინი კოლეგიებზე და საბჭოს სხდომებზე.

— შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები.

3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაეკისროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კობახიძე მანანა კალისტრატეს ასული — თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე

2. თუთბერიძე ჰამლეტ მიხეილის ძე — თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

3. ალავერდაშვილი ანა ირაკლის ასული — საქართველოს ალკკ ცკ მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილების გამგე

4. ჯანელიძე ეთერ ვარლამის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი

5. ვარდოსანიძე გივუცა ბესარიონის ძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

6. კერესელიძე ომარ ლავრენტის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი

7. ძლიერიშვილი კობა ალექსის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი

8. ოფხაზავა ბორის ვალერიანის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი

9. ბაყაშვილი არსენ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 24 ივნისის ერთობლივი გადაწყვეტილება

სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1. ცნობა სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ (თან ერთვის) დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, საქალაქო და რაიონულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ კომიტეტებს.

2. სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს: ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატი — 1 ადგილი, ქედის რაიონის სოფელ მერისის სასკოლო ინტერნატი — II ადგილი, დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთის სასკოლო ინტერნატი — III ადგილი.

3. სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სიგელებით:

ა) ქედისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები: ამხ. ამხ. შ. შერვაშიძე, და ვ. გოგოლაური;

ბ) სოფელ ქვეშეთის საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ზ. ბურდული;

გ) სოფელ ქვეშეთის სასკოლო ინტერნატის გამგე ვ. ვ. მიყორაშვილი;

დ) ალმზრდელები: ამხ. ამხ. მ. ი. ბუჩუკური, ლ. გ, ზაქაიძე (ქვეშეთი), ო. დოლიძე, ნ. სანიკიძე, უ. გოგოლიშვილი (მერისი);

ე) შეფი ორგანიზაციის ხელმძღვანელი რ. გ. ბაკურაძე, ამბროლაურის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით:

ა) ამხ. ამხ. ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელი მ. ჯაფარიძე, ქედის რაიონის სოფელ მერისის სასკოლო ინტერნატის გამგე მ. დიასამიძე.

წარდგენილ იქნან სსრკ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებლად:

ა) ამხ. ამხ. სოფელ მერისის საშუალო სკოლის დირექტორი ო. ბეჟანიძე, ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელი ა. ზალკალიანი.

სსრკ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით:

ა) ამხ. ამხ. ს. ცირეკიძე— ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე და შ. ჯინჭარაძე ამბროლაურის რაიონს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი.

4. დათვალიერების დებულების შესაბამისად, სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად და ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენ-განყოფილების გამგე და შ. ჯხნჭმრმძე ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლას — 1000 მანეთი; ქედის რაიონის სოფელ მერისის საშუალო სკოლას — 700 მანეთი; დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთის საშუალო სკოლას — 500 მანეთი.

5. სახალხო განათლების ორგანოებმა, კომკავშირისა და პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად, იზრუნონ სასკოლო ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას სასკოლო რეფორმის მოთხოვნის შესაბამისად.

ყოველმხრივ შეისწავლონ და განაზოგადონ სასკოლო ინტერნატების მუშაობაში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება.

5. 1. მიაღწიონ სასკოლო ინტერნატების ქსელით მოსახლეობის მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას, იზრუნონ სკოლიდან სამი და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) სასკოლო ინტერნატების მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მათი მომარაგება საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს აჭარის ასსრ რესპუბლიკისა და ლენტეხის რაიონების სახალხო განათლების ორგანოებს სასკოლო ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატების ავარიული შენობებიდან გამოყვანისა და ახალი შენობების მშენებლობის საქმეში.

8. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატების აღმზრდელთა კადრების დროული გადამზადება.

9. ლენტეხის, წალენჯიხისა და საგარეჯოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა სათანადო ორგანიზაციების წინაშე დასვან და გადაჭრან საკითხი სასკოლო ინტერნატებიდან სხვა უწყებების გამოსახლების შესახებ.

— ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, მეტი ყურადღება დაუთმონ სასკოლო ინტერნატების კვების ბლოკების საჭირო პროდუქტებით (ხორცი, თევზი, რძე, რძის ნაწარმი, ახალი ხილი, ბოსტნეული და სხვ.) მომარაგების საქმეს.

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააუმჯობესოს სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება.

— დაისვას საკითხი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ავტობუსების გამოყოფის შესახებ.

10. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა (ამხ. ა. ჟორჟოლაძე) საჭირო კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი Ო. ძიძიგური

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. ხაჩიძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, 1984—1985 სასწავლო წელს ჩატარდა სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერება.

დებულების შესაბამისად დათვალიერება ჩატარდა ორ ეტაპად: პირველი — ადგილობრივი-საარაონო კომისიების მიერ, ხოლო მეორე — რესპუბლიკური კომისიის მიერ ადგილებიდან წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე.

დათვალიერებამ ხელი შეუწყო სასკოლო ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდეს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილება სასკოლო რეფორმის შესახებ, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მხარდაჭერით და დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სოფლის სკოლების მუშაობის და განსაკუთრებით ინტერნატული ტიპის დაწესებულებების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 141 სასკოლო ინტერნატი 3652 აღსაზრდელით.

უკანასკნელ ხუთწლედში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასკოლო ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 34 სასკოლო ინტერნატი 1700 მოსწავლე ადგილზე. ამჟამად ტიპურ შენობაში მუშაობს 90 სასკოლო ინტერნატი (სულ არის 141 სასკოლო ინტერნატი).

1984 წელს აშენდა: წაბლიანის (ხულოს რაიონი), ბოშურის (გორის რაიონი), ქვაბლის (ჩოხატაურის რაიონი) სასკოლო ინტერნატები. 1985 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ბუგეულის სასკოლო ინტერნატის

შენობა (ამბროლაურის რაიონი). მშენებლობის პროცესშია საგარეჯოთის (შუახევის), თხინვალის (ხულო), კინჩხას (წულუკიძე) და საყავრიის (გორი) სასკოლო ინტერნატების შენობები.

სასკოლო ინტერნატების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის რიგი სასკოლო ინტერნატების კოლექტივები მუშაობას წარმართავენ სკკპ 26-ე ყრილობის დადგენილების და სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ქედის რაიონის სოფლების მერისისა და დაბა ქედის, ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის, დუშეთის რაიონის სოფლების ქვეშეთისა და ჭართლის, ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის, ხულოს რაიონის სოფლების ყინჩაურისა და დაბა ხულოს, ქობულეთის რაიონის სოფელ ჭახათის და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნაბადურის სასკოლო-ინტერნატები (ამხ. ამხ.: შ. შერვაშიძე, ს. ციერკიძე, ვ. გოგოლაური, უ. ჯიოევი, ო. ბოლქვაძე, ვ. ბაქრაძე, შ. ღონღაძე, ო. ბეჟანიძე, მ. დიასამიძე, მ. ზაქარიაძე, შ. ჯინჭარაძე, ლ. ბურდული, ვ. გუდაშვილი, ზ. კულუმბეგოვა, ს. სურმანიძე, ა. ბოლქვაძე, გ. რიჟვაძე, კ. ცეცხლაძე, ბ. გელაშვილი).

სასკოლო ინტერნატების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შედეგად II ადგილი დაიკავა ქედის რაიონის სოფელ მერისის საშუალო სკოლასთან არსებულმა სასკოლო ინტერნატმა. ამასთან, მისი მუშაობა განზოგადებულ იქნა აჭარის ასსრ განათლების საკავშირო კოლეგიაზე.

სოფელ მერისის საშუალო სკოლისა და სასკოლო ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ბავშვთა კვებას და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ატყვია კარგი მეურნის და პედაგოგების ხელი, წესრიგშია საძილე ოთახები და დამხმარე სათავსოები — იზოლატორი, ჰიგიენური თუ სათამაშო-გასართობი ოთახები. ამჟამად დაწყებულია ლია დერეფნის გადახურვა 28 გრძივ მეტრზე, ეზოს შემოკავება მავთულბადით და ჩხავერის ჯიშის ვაზის ტალავერის მოწყობა, ორგანიზებულია ბავშვთა სამჯერადი კვება. ბავშვთა კვებისათვის გამოყენებულია სკოლის ნაკვეთიდან მიღებული პროდუქტები (ხილი, ბოსტნეული, მეღორეობის მინიფერმიდან ხორცი). გასულ წელს ნაკვეთიდან მიღებულმა შემოსავალმა ფულად გამოსახულებაში სამი-ოთხი ათასი მანეთი შეადგინა.

თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს აღმზრდელობითი მუშაობა, შექმნილია ოჯახური გარემო, დღის მეორე ნახევარი ბავშვებისათვის სახალისო და მიმზიდველია, რადგანაც არასაგაკვეთილო დრო ბავშვთა ინტერესების მიხედვით მუშაობას ეთმობა (აღმზრდელები ო. დოლიძე, უ. გოგოლიშვილი, ნ. სანიკიძე).

ანალოგიური მდგომარეობაა ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლისა და დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთის სასკოლო ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერნატებში. ამბროლაურის რაიონის მე-2 საშუალო სკოლის საინტერნატო ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის კარგი მუშაობა 1982 წელს განზოგადდა განათლების სამინისტროს კოლეგიაზე და მან სასკოლო ინტერნატების მე-3 რესპუბლიკურ დათვალიერებაში I ადგილი დაიკავა.

აღნიშნულ სასკოლო ინტერნატში კარგად არის დანერგილი მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში, დანიშნულებით იყენებენ სასწავლო მიწის ნაკვეთს, საგულდაგულოდ უვლიან ხეხილს, ვენახს, ბოსტნეულს, მოაწყვეს კაკლის ხის (1000 ძირი) და თუთის სანერგე. ზრდიან ღორებს და სხვა პროდუქტებთან ერთად (ხილი, ყურძენი) სახელმწიფოს აბარებენ. ნაწილს კი ბავშვთა კვებისათვის იყენებენ. სასკოლო ინტერნატის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში (105 გრამი).

სასკოლო ინტერნატების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შემდეგ პერიოდში გარკვეულად გაუმჯობესდა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა, სახელმწიფო თუ შეფი ორგანიზაციების თანხებით უფასო კვება დანერგილია ამბროლაურის, ხულოს, შუახევის, ასპინძის, წალენჯიხის, ცაგერის, საშტრედიის რაიონებში. კვებისათვის კარგად იყენებენ საცდელ ნაკვეთზე მიღებულ პროდუქტებს ქარელის, გეგეჭკორის, ამბროალურის და რიგ სხვა რაიონებში.

სასკოლო ინტერნატების დათვალიერებამ წარმატებებთან ერთად გამოავლინა სერიოზული პრობლემები და კვლავ გადაუჭრელი საკითხები.

ნაკლოვანებებია მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანის საქმეში, ჯერ კიდევ ტრანსპორტით უზრუნველყოფას საჭიროებს 17815 მოსწავლე.

რიგი სასკოლო ინტერნატების შენობები ვერ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს, დღეის მდგომარეობით შეგუებულ შენობაში 36 სასკოლო ინტერნატი მუშაობს, დაქირავებულში 8, ხოლო ავარიულში — 7. ხშირია შემთხვევები, როცა სასკოლო ინტერნატის შენობებში სხვა უწყებებია მოთავსებული, მაშინ როცა თვით სკოლა ფართობის სიიწროვეს განიცდის. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ლენტეხის რაიონის რიგ სკოლებში. სოფელ ხოფურის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატი ტიპურ შენობაშია მოთავსებული. აღნიშნულ ინტერნატში 45 აღსაზრდელია გათვალისწინებული (ამხ. მ. ლიპარტელიანი), თუმცა მასში ფაქტიურად 16 აღსაზრდელი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ინტერნატში აღსაზრდელთა ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი დიდია, ბავშვებს საცხოვრებელ შენობაში ვერ ათავსებენ იმის გამო, რომ 1-ლ სართულზე, ჯერ კიდევ 1979 წლიდან შესახლებულია ხოფურის სასოფლო საბჭო, საექიმო უბანი, სოფლის ფოსტის განყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილება, სატყეო უბანი, ხოლო მეორე სართულზე კი — საბჭოს ადმინისტრაციული ადგილი ღალტერია და აფთიაქი.

ახალოგიური მდგომარეობაა ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის სასკოლო ინტერნატში (ამხ. ნ. ბაბლუანი). აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა საერთო კონტინგენტიდან სამი და მეტი კილომეტრის დაშორებით დადის 84 აღსაზრდელი, რომლებიც სასკოლო ინტერნატში მოთავსებას საჭიროებენ, მაგრამ ჩარიცხულია მხოლოდ 46 და ფაქტიურად ცხოვრობს 19. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სასკოლო ინტერნატის ტიპური შენობის 1-ლი სართული უკავია სოფლის საბავშვო ბაღს, რის გამოც სასკოლო ინტერნატს არ ყოფნის საცხოვრებელი ფართობი. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ხელედის საშუალო სკოლაშიც.

სასკოლო ინტერენატებში სხვა უწყებების შესახლებას ადგილი აქვს წალენჯიხისა და საგარეჯოს რაიონებშიც. რიგ სასკოლო ინტერნატებში, მიუხედავად ტიპური შენობების არსებობისა, დანიშნულებით არ იყენებენ საცხოვრებელ ფართობს, მოუწესრიგებელია დამხმარე სათავსოები (ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანის, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის საშუალო სკოლების სასკოლო ინტერნატები, ამხ. ამხ. ი. ბასილაძე, გ. ბეროძე, ზ. სანიკიძე).

შენობების უვარგისობის გამო არასათანადო პირობებში უხდებათ მუშაობა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარისწყლის, წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის, ქედის რაიონის სოფელ ფუშრუკაულის, შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოს, დაბა შუახევის, დღვანის, შუბანის, ხაბელაშვილების და დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის სასკოლო ინტერნატებს. დასახელებულ სკოლებში მოუსეწრიგებელია გათბობა, წყლით მომარაგება, არ ყოფნით დგამ-ავეჯი, ხშირია შემთხვევები, როცა თბოქსელი ტიპურ შენობებშიც არ მუშაობს და გათბობა თუნუქის ღუმელებით ხდება, რაც ხანძრის საშიშროებას და ანტისანიტარიას ქმნის. გათბობის ქსელი შეფერხებით ან საერთოდ არ მუშაობს მესტიის, წალენჯიხის, ორჯონიკიძის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს და დუშეთის რაიონების სასკოლო ინტერნატებში.

რიგი სასკოლო ინტერნატის სამეურნეო საქმიანობას დიდად აფერხებს გამდინარე ცივი და ცხელი წყლის უქონლობა, რაც ანტისანიტარიასა და ეპიდემიის საშიშროებას ქმნის. ასეთი მდგომარეობაა მესტიის, გეგეჭკორის, ახმეტის, თეთრი წყაროს, ადიგენის, ონის, ლაგოდეხისა და რიგი სხვა რაიონის სასკოლო ინტერნატებში.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მოთხოვნებს კვლავ ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების არსებული მდგომარეობა, არადამაკმაყოფილებელია კვების პროდუქტებით სკოლების მომარაგება რესპუბლიკის უმეტეს და განსაკუთრებით შემდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაიონებში — გეგეჭკორის, მესტიის, თეთრი წყაროს, გორის, ტუმანეთის, ლენტეხის, ადიგენის, ლაგოდეხის, თიანეთისა და ბორჯომის რაიონებში. განსაკუთრებით შეიმჩნევა ახალი ხილით, რძით, რძის პროდუქტებით და ბოსტნეულით მომარაგების ნაკლებობა, ხშირად რიგი რაიონის სკოლა-ინტერნატებში საერთოდ არ ვრცელდება დებულებით კვებისათვის გათვალისწინებული შეღავათები, მშობლების ნაწილი კვების ხარჯებს ვერ იხდის, ეს კი კვების თანხების აუთვისებლობას იწვევს.

სასკოლო ინტერნატების უმრავლესობას ან არა აქვს ნაკვეთები, ან თუ აქვს, საერთოდ არაა მოვლილი და გამოყენებული. არ იგრძნობა შეფების როლი ამ საქმეში.

რესპუბლიკის სასკოლო ინტერნატებში კვლავ აქვს ადგილი მენიუ-განაცხადის არასწორად წარმოების შემთხვევებს. ვინაიდან სასკოლო ინტერნატისათვის განკუთვნილ კრედიტს და მის ხარჯვას ადგილობრივი საბჭო განაგებს, ამდენად მოქმედი დებულების შესაბამისად, მენიუს საბჭოს ბუღალტერი უნდა ადგენდეს და ბეჭდით ამოწმებდეს. ხშირია შემთხვევები, როცა მენიუს შედგენაც და ბეჭდით დამოწმებაც სკოლის მეშვეობით ხდება, რაც უკონტროლობას იწვევს თითოეული ბავშვისათვის კუთვნილი ულუფის მიწოდების საქმეში.

გაუმჯობესებას მოითხოვს ბავშვთა სამედიცინო მომსახურება და სანიტარიული მდგომარეობა.

ნაკლოვანებებია ბავშვებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეში. საჭირო ინვენტარის (ტუმბო, საწოლი, მაგიდა, სკამი, ტელევიზორი, ჰიგიენის პირადი ნივთები და სხვ.) ნაკლებობას განიცდიან აჭარის ასსრ, თიანეთის, ცაგერის, სამტრედიის, თეთრი წყაროს და რიგი სხვა რაიონის სასკოლო ინტერნატები.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად არ ხორციელდება საბაზო საწარმოების და შეფი ორგანიზაციების დახმარება სასკოლო ინტერნატებისადმი. ხშირად სკოლის დირექტორები შეფისაგან მცირე დახმარებით კმაყოფილდებიან და სასკოლო ინტერნატები ყოველგვარ დახმარებას არიან მოკლებული: კერძოდ, საცხოვრებელი შენობის რემონტი, მისი გათბობა, ელექტროგაყვანილობის და თბოქსელის მოწყობა, გამდინარე ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფა, ნაკვეთის გამოყოფა, უფასო კვება და დგამ-ავეჯით მომარაგება. ამ მხრივ შეფების როლი სრულიად უმნიშვნელოა, ხშირად მოსწავლეები თვითონ ეხმარებიან შეფ ორგანიზაციებს, მაგალითად, ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის სასკოლო ინტერნატის ეზო შემოუკავებელია, არ არის სასმელი წყალი, მაშინ როცა ჩოლურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას (შეფი) სკოლის ბავშვებმა და მასწავლებლებმა გასულ წელს 40 ტონაზე მეტი თივა და ამდენივე სენაჟი დაუმზადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშეფო დახმარება სუსტად არის ორგანიზებული მესტიის, ონის, ნიკეძის, ბოლნისის, დუშეთის, ადიგენის, ბორჯომის რაიონებში.

მიუხედავად ერთგვარი ღონისძიებების გატარებისა, ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე არის დაყენებული და რეფორმის მოთხოვნებს ვერ პასუხობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებებია კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ორგანიზაციის საქმეში. საშინაო დავალებებზე მუშაობა კვლავ საგაკვეთილო სისტემით მიმდინარეობს, არ იქმნება ოჯახური გარემოს მიახლოებული პირობები, საქმიანი კავშირი არაა დამყარებული აღმზრდელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა მუშაკებს შორის, რის გამოც აღმზრდელი თავის მუშაობას დამოუკიდებლად გეგმავს, აღსაზრდელთა კოლექტივისა და კლასის აქტივისაგან მოწყვეტით, მივიწყებულია აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა, არაორგანიზებულია ბავშვთა თავსუფალი დრო და ინტერესის მიხედვით მოსწავლეთა მუშაობა.

სასკოლო ინტერნატებში აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, უპირველეს ყოვლისა, სკოლების ხელმძღვანელთა, რაიონის მეთოდური სამსახურებისა და განათლების განყოფილებების მიერ არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის შედეგია. სკოლის დირექტორები, მათი მოადგილეები სუსტად ფლობენ დღის მეორე ნახევარში აღმზრდელობითი მუშაობის სპეციფიკას, ამიტომ საჭირო დახმარებას ვერ უწევენ აღმზრდელებს მუშაობაში, რაიონების მეთოდური კაბინეტები ღრმად ვერ წვდებიან სასკოლო ინტერნატების მუშაობაში, სათანადო რეკომენდაციებს ვერ აწვდიან სკოლებს აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. განათლების განყოფილებები პერიოდულად სწავლობენ და იხილავენ სასკოლო ინტერნატების მუშაობას, მაგრამ იგი უფრო ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს ეხება, რის გამოც რჩება მთავარი — სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა.

განსაკუთრებით გაუმჯობესებას მოითხოვს აღმზრდელთა კადრების შერჩევის, დანიშვნისა და მათთან მუშაობის საკითხი. მოუთმენელია ის ფაქტი, რომ მეტი წილი აღმზრდელებისა პენსიის შევსების ან სამუშაოზე მოწყობის მიზნით ინიშნება და ამდენად არ ხდება მათი საქმიანი თვისებების, შემოქმედებითობისა და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილების გათვალისწინება. ჯეროვან სიმაღლეზე არ ტარდება საკურსო ღონისძიებები და მოწინავე აღმზრდელთა მუშაობის განზოგადება.

სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ისიც გვიჩვენა, რომ რიგი რაიონის სახალხო განათლების ორგანოები არასერიოზულად მოეკიდნენ ამ მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებას. უხარისხო, უშინაარსო და დებულების შეუსაბამოდ შესრულებული დათვალიერების მასალები გამოგზავნეს აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, გორის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ბოგდანოვკისა და თეთრი

წყაროს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში შექმნილ-
მა სასკოლო ინტერნატების დათვალიერების კომისიებმა. მასალები
დიდი დაგვიანებით წარმოადგინეს. წალენჯიხის, ბოგდანოვკის, ასპინძი-
სა და ლაგოდეხის რაიონებმა, ხოლო საერთოდ არ წარმოუდგენიათ
აფხაზეთის ასსრ, ლენტეხის, საჩხერის, წალკისა და ჩოხატაურის რაიო-
ნებს, რაც ზემდგომი ორგანოების დავალებათა შესრულებისადმი უპა-
სუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების პირველი წლის შედეგების შესახებ . . . 3

გადაწყვეტილება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-19 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ 23

ბრძანება № 384 — ნორჩ მათემატიკოსთა 29-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 275ე- წლისთავისადმი მიძღვნილი 30-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 30

ბრძანება № 385 — ნორჩ ქიმიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მ. ვ. ლომონოსოვის დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი 39-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . 37

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 43

ბრძანება № 386 — ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 48

გადაწყვეტილება — სასკოლო ინტერნატების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ 76

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 23/VIII-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-85 წ.;
ანაწყობის ზომა 6¹/₄×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.

შეკვეთა № 683 უე 11652 ტირაჟი 6000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7